სახ. საბ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 291 (20882) — შაბათი, 20 დეკემბერი, 1988 წელი. — ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისიაში

ავაღორძინოთ ქალაქები და სოფლები

ლენინაკანის ერთ-ერთ დანგრეულ ქუჩაზე საათის ისარი გაჩერებულა 11 საათსა და 41 წუთზე. ზუსტად ათი დღე გავიდა იმ წუთიდან, როცა სტიქია თავს დაატყდა ქალაქსა და მის მცხოვრებლებს. და ათი დღეა, არც ერთი წუთით არ წყდება, გრძელდება შეუპოვარი ბრძოლა ადამიანთა გადასარჩენად, ქალაქის აღსადგენად. 17 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისიის მორიგ სამუშაო თათბირზე აღინიშნა, რომ ამ ბრძოლის პირველი და ყველაზე მწვავე ეტაპი მთავრდება. იწყება მზადება საცხოვრებელი ფონდის აღდგენისათვის, ქარხნების და ფაბრიკების, აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოების აღორძინებისათვის.

თათბირზე ლაპარაკი იყო აგრეთვე დიდ და ყოველმხრივ მომზადებულ მუშაობაზე, რომელიც უკავშირდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ მოწონებული მიწისძვრის შედეგად სომხეთის სს რესპუბლიკის მოსახლეობისათვის დიდმასშტაბიანი დახმარების გაწევის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებების რეალიზაციას. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ ადგილებზე, რომ დავიწყებული არ იყოს არც ერთი კაცი, დიდი თუ პატარა, რომელსაც უბედურება დაატყდა თავს, რომ მატერიალური მხარდაჭერა ადამიანებმა სრულად გაიცნობიერონ როგორც ჩვენი წყობილებისათვის დამახასიათებელი სოციალური სამართლიანობის აქტი.

პირველი მუშათა სასადილო გაიხსნა ლენინაკანში. საწარმოებში აღადგენენ შრომით კოლექტივებს, რომლებიც დასაქმებული არიან აღდგენითსა და გასამართავ სამუშაოებზე. ჩამოვიდა თბილი ვაგონების ახალი პარტია, გადაწყვეტილია მათი ნაწილი გადასცენ მედიკოსებს, რომლებიც ზამთარში ქალაქში უნდა დარჩნენ მშრომელთა მომსახურებისათვის.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. პ. ტრუშინმა თათბირს მოახსენა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან, უბედურების ადგილებში ტექნიკის უძრავად ინტენსიური მოძრაობისადმი კონტროლთან ერთად შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკები, შინაგანი ჯარების კონტინგენტი აქტიურად მონაწილეობენ საშველ და აღდგენითს სამუშაოებში. მთლიანად მიწისძვრის რაიონებში ვითარება მშვიდია. თუმცა სომხეთისათვის, მთელი ქვეყნისათვის ამ უმძიმეს ჟამსაც კი არ წყდება „ყარაბაღის“ კომიტეტის წარმომადგენელთა პროვოკაციული გამოხდომები. უმაღლეს სასწავლებლებში, სხვა დაწესებულებებში კომიტეტის წევრები აწყობენ წამქეზებლურ საუბრებს, ავრცელებენ ფურცლებს, რომლებიც შეიცავს მოწოდებებს — მოაწყონ დემონსტრაციები და გაფიცვები. კომიტეტის რამდენიმე მესვეური დაპატიმრებულია, მათ წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ეროვნული მტრობისა და შუღლის გაღვივებისათვის, იმთავითვე ყალბი მონაჩმახების გავრცელებისათვის, რომელიც სახელს უტეხს საბჭოთა სახელმწიფო წყობილებას, აგრეთვე ჯგუფურ მოქმედებაში მონაწილეობისა და ორგანიზაციისათვის, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს.

მეტეოროლოგები გვაფრთხილებენ: უახლოეს ორ დღეში მოსალოდნელია სველი თოვლი და ქარი: ყველაფრის გარდა, ეს ნიშნავს, რომ უნდა დავაჩქაროთ უბედურების ზონიდან ბავშვების, ქალებისა და მოხუცების გახიზვნა. მარტო გასულ დღეღამეში აქედან გაყვანილია 9.862 კაცი. 24 ათასზე მეტი დაზარალებული უკვე ცხოვრობს დასასვენებელ სახლებში, ჯანმრთელობის კერებში. ბავშვები ახლა სულ უფრო ხშირად მიემგზავრებიან არა მარტო კლასებად, არამედ მთელ სკოლებად, მასწავლებლებთან და მშობლებთან ერთად. ამ სკოლებში მისვლისთანავე მაშინვე იწყებენ მეცადინეობას. საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ს. ა. შალაევმა განაცხადა, რომ გუშინ ევაკუირებულთა პირველი ჯგუფები გაიგზავნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა სამმართველოს ჯანმრთელობის კერებში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი სპეციალური დადგენილების შესაბამისად სხვა სახეობათა დახმარებასთან ერთად ამ ჯანმრთელობის კერებში გამოყოფილია ათასი ადგილი სომხეთში მიწისძვრისაგან დაზარალებულთათვის.

აგრომრეწვის შტაბები, როგორც თათბირს მოახსენა სსრ კავშირის სახაგრომრეწვის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ — სსრ კავშირის მინისტრმა ე. ი. სიზენკომ, რესპუბლიკის ჩრდილოეთ რაიონების ყველაზე დანგრეულ სოფლებში აგრეთვე ცდილობენ, რომ სიცივემ მოულოდნელად არ მოუსწროს ადამიანებს. მარტო ამ ბოლო დღეებში გამოყოფილია 2 ათასი ქურთუკი, მიიტანეს 55 იურთი, დაურიგეს 50 ათასი სასურსათო კომპლექსი, 20 ათასი ცხელი კერძი. წუხელ მთელ ღამეს არ ეძინათ ერევნის სარემონტო მექანიკური ქარხნის მუშაკებს, რომლებიც ასრულებდნენ სასწრაფო შეკვეთას — უნდა დაემზადებინათ 200 თუჯის ღუმელი სოფლებში დადგმული კარვებისა და იურთების გასათბობად. ეს ემატება იმ 2500 ღუმელს, რომლებიც უკვე გადასცეს სოფლელებს სამხედროებმა.

სამუშაო თათბირზე სომხეთის სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წინადადება მიეცა განიხილოს და უახლოეს დღეებში წარმოადგინოს წინადადებანი ინვალიდების რეაბილიტაციის ცენტრის შექმნის შესახებ, რომლებიც დასახიჩრდნენ მიწისძვრის დროს. კომისიის ოპერატიულ გადაწყვეტილებათა შორის არის ვაგონების მთელი დღეღამის გადმოტვირთვა და მთელი რიგი სხვა გადაწყვეტილებანი, რომლებიც განსაზღვრავს სამუშაოთა დაძაბულ რიტმს უბედურების ზონაში.

გადაარჩინონ, გაათბონ, აჭამონ ხალხს, ჩაუნერგონ რწმენა, რომ თავის ქვეყანასთან ერთად იგი დაძლევს უბედურებას — ასეთია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისიის, ადგილობრივი სამუშაო შტაბების, ყველა იმათი საქმიანობის არსი, ვინც ახლა დასაქმებულია მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციაზე.

ძალისხმევის გაერთიანებას, უბედურების ზონაში ამოჩენილი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის აღორძინებაში საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების წვლილს მიეძღვნა სწორედ იმავე დღეს ერევანში გამართული თათბირი ნ. ი. რიჟკოვის თავმჯდომარეობით.

თათბირის მონაწილენი ამბობდნენ, რომ საზოგადოებრივ წარმოებაში აქტიურად უნდა ჩაება ამ რაიონების მშრომელები — ჯერ საამქროებისა და ქარხნების აღდგენაში, შემდეგ კი მათს მუდმივ ექსპლოატაციაში. საკავშირო სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთა საწარმოები განლაგებულია ნგრევის ზონაში, მთავარი როლი უნდა შეასრულონ ამაში. მათ დაევალათ მაქსიმალურად გამოიყენონ საკუთარი რეზერვები, შესაძლებლობანი და მთელი ყურადღება და ძალ-ღონე მოახმარონ იმას, რომ დაზარალებული ქარხნები, ფაბრიკები, გაერთიანებები რაც შეიძლება მალე იძლეოდნენ პროდუქციას, ხელს უწყობდნენ რეგიონში სოციალური სიტუაციის სტაბილიზაციას.

ამ ამოცანას საერთო-ეროვნული მნიშვნელობა აქვს. ეხმარება რა სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკის აღდგენაში, ქვეყნის სახალხო მეურნეობამ ამავე დროს უნდა გაზარდოს პროდუქციის გამოშვება, რათა აანაზღაუროს მისი დანაკარგები მიწისძვრის შედეგად დანგრეულ საწარმოებში.

ამასთანავე მარტო სრული მოცულობით კი არ უნდა აღადგინონ საწარმოები, არამედ მოახდინონ მათი ძირეული მოდერნიზაცია. ყველაზე პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენების გზით უნდა გაზარდონ სიმძლავრეები, წარმოების კულტურა, ეს კი ნიშნავს მიაღწიონ პროდუქციის თვისებრივად ახალ დონეს.

აღინიშნა, რომ დასახული მიზნების მიღწევაში მაქსიმალურად უნდა დაეყრდნონ უკვე ჩამოყალიბებულ და ახლად შექმნილ შრომით კოლექტივებს. ხაზგასმით აღინიშნა აღსადგენი საწარმოების სოციალური სფეროს განვითარების პრიორიტეტულობა. სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლებმა, რომელთაგან მრავალი უკვე რამდენიმე დღეა უბედურების ზონაში იმყოფება, განაცხადეს, რომ სომხეთის ეკონომიკური პოტენციალის აღდგენისათვის მუშაობაში გამოიყენებენ დარგების ყველა რეზერვს და იმ გაზრდილ შესაძლებლობებს, რომლებსაც მათ რადიკალური ეკონომიკური რეფორმა უქმნის.

თათბირზე გამოვიდნენ სსრ კავშირის მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები: ბ. მ. ბელოუსოვი (მანქანათმშენებლობის სამინისტრო), მ. ს. შკაბარდნია (ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრო), ნ. ს. კონარევი (გზათა სამინისტრო), ნ. ა. პანიჩევი (ჩარხმშენებლობის მრეწველობის სამინისტრო), ვ. გ. კოლესნიკოვი (ელექტრომრეწველობის სამინისტრო), ე. კ. პერვიშინი (კავშირგაბმულობის მრეწველობის სამინისტრო), ნ. მ. ოლშანსკი (მინერალური სასუქების სამინისტრო), ვ. მ. ლუკიანენკო (ქიმიური მანქანათმშენებლობის სამინისტრო), ი. ა. ბესპალოვი (ქიმიური მრეწველობის სამინისტრო), ე. ა. ვარნაჩევი (საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტრო), ნ. ვ. ლემაევი (ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტრო), ა. დ. ბუდიკა (პურპროდუქტების სამინისტრო), ო. გ. ანფიმოვი (ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრო), ვ. გ. კლიუევი (მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო), ა. ი. მაიორეცი (ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტრო), ვ. ა. კუროჩკინი (რადიომრეწველობის სამინისტრო), ი. ა. გუსკოვი (ხე-ტყის მრეწველობის სამინისტრო), ვ. დ. დანილენკო (სახაგრომრეწვი), სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. პ. ბატალინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ი. დ. მასლიუკოვი.

განხილვის შედეგები შეაჯამა ნ. ი. რიჟკოვმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ნ. ნ. სლიუნკოვი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. გ. არუთინიანი.

• • •

სტიქიური უბედურების ზონაში საშველი სამუშაოები გრძელდება. განვლილ დღე-ღამეში ნანგრევებიდან ამოიყვანეს კიდევ 89 დაღუპული და ერთი ცოცხალი — ლენინაკანში. საავადმყოფოში გარდაიცვალა 30 კაცი. დაღუპულთა საერთო რიცხვია 23.390. ათ დღეში გადაარჩინეს 15.252 კაცი. (საკდესი).

გ ა რ დ ა ტ ე ხ ა

ციტრუსოვანთა პლანტაციებში



ნოემბრის პირველ დეკადაში ნაადრევი თოვლი მოვიდა დასავლეთ საქართველოში. ამ დროისთვის ღრმა მოხუცებსაც არ ახსოვთ ბუნების ესოდენ ჭირვეულობა. „კომუნისტის“ 15 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილ წერილში „ციტრუსები შველას ითხოვს“ — ვკითხულობთ: „ნოემბრის განვლილ 15 დღეში აჭარის ზღვისპირეთში მხოლოდ ორი დღე იყო მზიანი. 8 ნოემბრიდან კოკისპირულად წვიმდა, რასაც ძლიერი ქარი და სეტყვა მოჰყვა. თოვლის საფარმა 10-15 სანტიმეტრს მიაღწია. ნაყოფით დატვირთულ ტოტებს დაემატა მძიმე თოვლი, რამაც დააზიანა დაუკრეფავი ხეები. სპეციალისტების შეფასებით მოსავლის 15 პროცენტი დაიღუპა. სამწუხაროდ ამინდს სასიკეთო პირი არ უჩანს“...

მართლაც მძიმე დღეები დაუდგათ მეციტრუსეებს. მთელი წლის ნაღოლიავებ მოსავალს დაღუპვა ემუქრებოდა. დიდმა და პატარამ პლანტაციებს მიაშურა. ხეებს თოვლისგან ფერთხავდნენ, ჩამომტვრეულ ტოტებს ჰკრიდნენ, შემოსულ ნაყოფს კრეფდნენ. ასე იყო აფხაზეთში, აჭარაში, გურიაში, სამეგრელოში, ყველგან, სადაც ეს ძვირფასი კულტურა ლაღად ხარობს და მაშვრალს უხვად უნაზღაურებს გარჯას.

ასე იყო ქობულეთშიც. დაუფასდათ კიდეც შრომა. მოსავალი მართლაც კარგია. მისი დროულად აღება-დაბინავება კი სხვადასხვა მიზეზის გამო ხშირად ჭირს.

...საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის პირველ მდივანს რევაზ პატარაძეს მშრომელთა მიღება ორშაბათობით 15 საათიდან აქვს. მაგრამ ახლა, მოსავლის აღების ამ გაგანია დღეებში, მიღების საათებს ვინ დაგიდევთ. სოფლებიდან მოდიან და მოდიან მშრომელები,

უდანაკარგოდ ავიღოთ და დავაბინაოთ მოსავალი

ანუ რა კეთდება სამისოდ ქობულეთის რაიონში

რომლებიც დახმარებას ითხოვენ. მდივანმა დილით ადრე მოსული მთხოვნელები მიიღო.

— მარჩენალი შვილი ავარიაში დამეღუპა, დავრჩი უპატრონოდ. თავმჯდომარე ტკბილი ენით კი მისტუმრებს, აი დღეს, აი ხვალ ჩაგაბარებინებ შენს მანდარინსო, მაგრამ საქმე არ ჩანს, ბევრი კი არა მაქვს, სულ 5 ტონაა, მაგრამ ჩემნაირი უპატრონოსთვის ესეც კარგი საარსებო საშუალებაა, — იქნებ თქვენ მაინც დამეხმაროთო, სთხოვა პირველ მდივანს ბობოყვათელმა რუფიე ქათამაძემ.

— ბობოყვათში ბევრი სამამულო ომის მონაწილე და ინტერნაციონალისტი მეომარი, აგრეთვე 21 სოციალისტური შრომის გმირია. ყველა მათგანს, აგრეთვე ინვალიდებს, მარტოხელა დედებსა და მრავალშვილიანებს რიგგარეშე ჩაბარების უფლება აქვთ. რატომ არ ჩაიბარეს თქვენი მანდარინი ამდენ ხანსო, თქვა მდივანმა და ტელეფონის ნომერი აკრიფა. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ა. ღლაიშვილს დაავალა სასწრაფოდ ჩაებარებინათ რუფიე ქათამაძის მანდარინი. დღის ბოლოს დავალების შესრულება მოახსენეს პირველ მდივანს.

ხუცუბნელ ლუციპე აბაშიძეს 5 შვილი ჰყავს. ქმარი ათი წლის წინათ გარდაცვლილა. სახლს წვიმა ატანს. სოფლის მესვეურებს ისიც გამორჩენიათ მანდარინის ჩაბარების სიიდან. მდივანი მასაც დაჰპირდა დაგეხმარებიო და ფულის მიღების შემდეგ შიფერსაც გამოგიყოფთო, უთხრა.

იმ დღეს მდივანმა დახმარების ხელი გაუწოდა 7 შვილის დედას იამზე ცეცხლაძეს, სამამულო ომის ინვალიდებს ჯემალ გობაძეს, დავით კაკაბაძეს, მარტოხელა დედას გული მახარაძეს, ვეტერან კოლმეურნეებს ლიზა კერძევაძეს, მერი ქარცივაძეს, ისკანდერ ბერიძეს, მემედ გაბაიძეს, სოფელ ალამბრის 25-კაციან დელეგაციას და ვინ მოთვლის კიდევ რამდენს...

ქობულეთი ციტრუსის, მათ შორის მანდარინის ყველაზე დიდი მწარმოებელი რაიონია არა მარტო აჭარაში, არამედ საქართველოშიც. უხვმოსავლიანობით წლევანდელი წელი დიდად გამოირჩევა ადრინდელთაგან. მოზღვავებული ნაყოფი შველას, დროულ დაკრეფას და დანიშნულებისამებრ გაგზავნას ითხოვს. დაყოვნება დიდ დანაკარგს გამოიწვევს, საზოგადოებრივი მეურნეობების ეკონომიკასაც აზარალებს და ოჯახების ბიუჯეტსაც. ამიტომ დარსა თუ ავდარში, დილიდან გვიან ღამემდე ბაღებში იკრიფება ოქროსფერი ნაყოფი. მანქანები, რკინიგზის ვაგონები და სექციები ვერ აუდიან მოსავლის გადაზიდვას. ავტომანქანების ნაკადი დასახმარებლად მოვიდა წითელწყაროდან, ყვარლიდან, საგარეჯოდან, გურჯაანიდან, სიღნაღიდან, ქუთაისიდან, ხაშურიდან, ზესტაფონიდან. მარტო ერთ დღეში 152 მანქანა წაეშველა ქობულეთელებს. მათ მუშახელით ეხმარებიან ბათუმელები. ერთი სიტყვით, წუთითაც არ ნელდება შრომის რიტმი.

შედეგიც კარგია: რაიონის საგეგმო დავალება — 54.450 ტონა ციტრუსი — ჯერ კიდევ 5 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შესრულდა. საკავშირო ფონდში 31.180 ტონის ნაცვლად ამ დროისათვის 33785 ტონა მანდარინი გადაიტვირთა.

დამატებით კიდევ 30 ათას ტონაზე მეტ ციტრუსოვანთა ნაყოფის მიღებას ვარაუდობენ. ეს კი დიდ გარჯას მოითხოვს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადრე მოსულმა სეტყვამ და თოვლმა ციტრუსის დაღუპვის საშიშროება შექმნა. ამიტომ განსაკუთრებით საკარმიდამო ბაღებში ხეზე ნაყოფი არ დატოვეს. ადრე დაკრეფილი კი, თუ დროულად არ ჩაბარდა, გაფუჭდება, დალპება. ამიტომ ყველას ერთდროულად უნდა მისი ჩაბარება. არადა, შემფუთავ ქარხნებს უჭირთ ნაყოფის მიღება და დანიშნულებისამებრ გაგზავნა. შემფუთავი ქარხნები, საკონსერვო ქარხანა და ბათუმის ციტრუსის დამამზადებელი კომბინატის ბუკნარის ფილიალი კი მცირეძალოვანია, აღჭურვილი არ არის თანამედროვე დანადგარმოწყობილობებით. ხოლო ციტრუსის გადამმუშავებელი მძლავრი კომბინატის მშენებლობა კი რატომღაც ჭიანურდება.

ჩაისუბნის, ხუცუბნის, კვირიკეს, ბუკნარისა და მერონის შემფუთავ ქარხნებში ხალხმრავლობაა. მოსახლეობას უჭირს საკარმიდამო ბაღებიდან მოწეული მანდარინის ჩაბარება. იგრძნობა სატვირთო მანქანების, რკინიგზის სექციისა და ვაგონების ნაკლებობა, მაგრამ თვით შემფუთავი ქარხნებიც ამ გაჭირვების დროს სრული დატვირთვით არ მუშაობენ, ხელსაყრელ მომენტებს მაქსიმალურად ვერ იყენებენ. მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების სწრაფად გამოსწორებისათვის ყოველდღიურად იკრიბება ციტრუსოვანთა ნაყოფის უდანაკარგოდ აღების, დამზადებისა და რეალიზაციის რაიონული შტაბი. ფრეაგირებოდ არ რჩება არც ერთი მომენტი. ისახება მეორე დღის სამუშაო პროგრამა, დახმარება ეწევა კოლმეურნეობებს, მეურნეობებს, შემფუთავ ქარხნებს დამატებითი მუშა-ხელით, ავტომანქანებით, რკინიგზის სექციებითა და ვაგონებით. ყველაფერი კეთდება უხვი მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და დამზადებისათვის. მაგრამ მაინც არიან მოზოზინენი და უნიათონი, რომლებიც ვერ ასრულებენ საგეგმო დავალებებს. ისინი დამსახურებისამებრ მკაცრად და სამართლიანად ისჯებიან.

ამ დღეებში პარტიის რაიკომის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე, რომლის მუშაობაშიც აღნიშნული შტაბის წევრებიც მონაწილეობდნენ, განიხილავდნენ საზოგადოებრივ მეურნეობებსა და შემფუთავ ქარხნებში ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფის, ტრანსპორტირება-ჩაბარებისა და მიღება-გაგზავნის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს.

ნაყოფის კრეფისა და დამზადების პროცესის მართვაში გამოჩენილი არაოპერატიულობისათვის, ყოველდღიური გეგმების შესრულებაში ჩამორჩენებისა და მოსახლეობისაგან ნაყოფის ორგანიზებულად ჩაბარების მიმდინარეობის ცუდი კონტროლისათვის ციხისძირისა და ხუცუბნის კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს ნ. ბოლქვაძეს და გ. ბაჯელიძეს, ხუცუბნისა და სოფელ ქობულეთის შემფუთავი ქარხნების დირექტორებს ო. ნემსაძეს და ლ. გუგუნავას გამოეცხადათ საყვედური. დაისვა საკითხი შუაღელეს დამამზადებელი პუნქტის გამგის ო. დოლიძის დაკავებულ თანამდებობაზე დატოვების მიზანშეუწონლობის შესახებ. მოსავლის დაცვისა და პირველადი აღრიცხვის საქმეში არსებული ნაკლოვანებებისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა მანდარინის დატაცების მცდელობა, ციხისძირის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის რ. გუნთაიშვილის და პარტიული კომიტეტის მდივნის თ. კონცელიძის პასუხისმგებლობის საკითხი ცალკე გამოიყო...

მოდის ციტრუსოვანთა უხვი მოსავალი. ყველაფერი უნდა ვიღონოთ მისი დროული აღებადაბინავებისათვის.

გიორგი ნოდია,
მიხეილ გორგილაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

▲ ▲

ქობულეთის რაიონის ჩაქვის ჩაის აგროკომბინატი წლიულ საგეგმო 2055 ტონის ნაცვლად 2800 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფს მიჰყიდის სახელმწიფოს. აქ ყოველდღიურად 60-70 ტონა მანდარინი იკრიფება. ამჟამად მოკრეფილია 1800 ტონაზე მეტი ნაყოფი. საკავშირო ფონდში გაიგზავნა 1200 ტონა. ციტრუსის კრეფაში დაწინაურდა მეოცე საიჯარო ბრიგადა, რომელსაც თეიმურაზ ყურშუბიძე ხელმძღვანელობს. მოწინავე მეციტრუსეები დღეში 250-300 ტონა მანდარინს კრეფენ.

• • •

სურათებზე: კომკავშირელი მანანა დევაძე; თეიმურაზ ყურშუბიძის ბრიგადაში მანდარინის დახარისხებისას.

ფელიქს კრიმსკის („კომუნისტი“) ფოტო.

ჟამი მოქმედებისა, ჟამი იმედისა

სიჩუმის ექო

სპიტაკში დროდადრო ისევ თრთის ჭალათად ქცეული მიწა. ამბობენ, სავაი ძვალს ჭერ კიბერზე მოიზომებს და მერე გადაულაპავსო. ამ გაუმაძღარმა ველეშაპმა კი ვერ მოზომა და ახლა ტანჯვით, კონვულსიებით ინელებს ხარბად შთანთქმულ სისხლსა და ხორცს.

აქ, მორაცანის ქუჩასა და ლენინაკანისკენ მიმავალ მაგისტრ-

სახე სულ გაუშავდა, ყბებზე კუნთები აუძიგძიგდა.

— იქნებ მოგეჩვენა, იქნებ ის არ იყო!

— არა, ის იყო, ის! იმხელა ფილებს ხელით რას ვუზამდი. მერე ნანგრევებმა დაიგრუხუნა და უფრო ჩაიწია. ალარ მახსოვს, ღამე როგორ გავიდა. სიბნელეში ვთხარე, რის თხრაც ხელით შეიძლებოდა. ბეტონამდე დავიძვრიდი, მერე სხვა ადგილას ვთხრიდი. დილას ქართული ლაპა-

ქუჩის ბოლოს გახული, უკან ვიხედები. ისევ ისე, გაუნძრევლად სხედან და მამაკაცურად უცრემლოდ, უსიტყვოდ გოდებენ. მაგრამ ეს გოდება მაინც აღწევს ჩემამდე — ხანდახან სიჩუმესაც აქვს თავისი ექო.

ანუ-უ-უშ!...

უკვე შუაღამეა — მა და მა, ორი ხიდება. დახაძინებლად გაზაზირებულს მოვარდნილი მანქა-

რძის მთელი მონაკვეთი ადადგინეს რკინიგზის ჯარებმა. მათ ეხმარებოდნენ „სამხრეთ მშენმექანიზაციის", „სომხტრანსმშენის", „ბურლვფეთქმშენის", რკინიგზის ამიერკავკასიის სამმართველოს სომხეთის, აგრეთვე დონეცკისა და ჩრდილოეთ კავკასიის განყოფილებათა მშენებლები და შემკეთებლები".

მაგისტრალზე მწვანე შუქი აინთო!

გამახარა ამ ცნობამ, მაგრამ ...

მოვლენის ადგილიდან

2. მწვანე შუქი მაგისტრალზე

...ტელეტაიპით მიღებული საქდეხის ცნობა წავიკითხე: „17 დეკემბერს განახლდა მიწისძვრის შედეგად 10 დღის წინათ შეწყვეტილი სამგზავრო მატარებლების რეგულარული მოძრაობა ერევან-მოსკოვის მთელ ხაზზე. ხარეკორდოდ მოკლე დროში რამდენიმე ათეული კილომეტრის სიგ-

...საექსკლუზივოდ რომ არ არის ჩამოსული, მშვენივრად ვუწყი.

არა, არავინ, თორემ სხვის სატირალს ასე გულით ვერ იტირებს, თავზე სხვისი დამწვარი სახლის ნაცარს ვერ წაიყრის...

ალეკო ასლანიშვილი,
„კომუნისტის" სპეც. კორ.



სურათზე: ამიერკავკასიის „მანქანმშენის" რუსთავის ავტომატიზაციის სამმართველოს მუშები აღდგენით სამუშაოებზე.
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტის ფელიქს კრიმსკის ფოტო.

დღეს მოსკოვში მუშაობას შეუდგება სახალხო განათლების მუშაკთა საკავშირო ყრილობა

სიტყვა ეძლევათ დელეგატებს

ქვეყნის ხვალინდელი პატრონი დღეს სკოლის მერხზე ზის. ამიტომ საშუალო სკოლის თუ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის ძირითადი მისიაა აღზარდოს სრულფასოვანი პატრონი.

ჩვენი დრო, თუ შეიძლება ასე ...

...ნეზე? დღევანდელ წარმოებას სჭირდება მაღალკვალიფიციური მუშა, რომელიც დაუფლებული იქნება თანამედროვე კომპიუტერულ ტექნიკას. სასწავლებელი ამ საშუალებებს მოკლებულია. ჩვენ არა გვაქვს საშუალება მოსწავლეებს მივცეთ სათანადო არც თე-...

...თლების სისტემა ერთ საქმეს ემსახურებით — მომავალი თაობის აღზრდასა და ჩამოყალიბებას. ... რგი იქნება, თუ ეს ორი სფერო უფრო მეტად დაუახლოვდება ერთმანეთს. აუცილებელია სკოლებში მეტი ყურადღება დაეთმოს მუშური პროფესიების პრო...

მთავარი მტერი ფორმალიზმია

ნაირა ...,
ბათუმის № 76 პროფტექსასწავლებლის ...

ეკოლოგიური განათლება დღეს აუცილებელია

შალვა ...

ასე იწყება მომავალი

გივი ...,
„კომუნისტის" ...

დრო, ენერგია, ადამიანები

საქინფორმის კორესპონდენტი შეხვდა „საქმთავარენერგოს" უფროსს ი. ე. ...ს და სთხოვა ეამბნა, როგორ მოემზადნენ საქართველოს ენერგეტიკოსები დღესასწაულისათვის წლეულს, რომელიც 18 დეკემბერს აღინიშნა, რა პრობლემები და ამოცანები დგას მათ წინაშე.

— წლევანდელი დღესასწაული ჩაგვიმწარა სომხეთში მომხდარმა ტრაგიკულმა მიწისძვრამ, — ამბობს პატივცემული იური. — ჩვენ, ...

...ით. „საქმთავარენერგოს" მთელი ხელმძღვანელი აპარატი გაემგზავრა ადგილზე და შეუდგა აღდგენით სამუშაოებს. ახლა ადგილებ-...

...მზად არის თავის სასწავლო კომბინატში მიიღოს 100 ბავშვი.

— რა გაკეთდა უკვე უბედურების ზონაში?

— დღეს შეიძლება ითქვას, რომ მთელი სპიტაკი, კიროვაკანი და ლენინაკანის მნიშვნელოვანი ნაწილი იღებს ელექტროენერგიას. მაგრამ სამუშაოები გრძელდება. მრავალი სოფელი ხომ ჯერჯერობით ...

შრომითი მიღწევებით აღინიშნება. ყველგან დამთავრდა კაპიტალური რემონტი, რამაც გაზარდა მათი ენერგოსიმძლავრე. განსაკუთრებით ბევრი რამ გაკეთდა თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში. ახლა აქ მუშაობს რვა ენერგობლოკი, შენდება კიდევ ხუთი, რომელთაგან თითოეული მოქმედ ენერგობლოკებზე ბევრად უფრო მძლავრია.

პერსპექტივისათვის გათვალისწინებულია მნიშვნელოვნად გაიზა-...

ქართული მეცნიერების რაინდი

გიორგი ნიკოლაძის დაბადების 100 წლისთავი

დღეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მართავენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი ნიკოლაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომას.

ერის მსახური

ნიკოლაძეების ოჯახში შვილების აღზრდას განსაკუთრებულ როლს ანიჭებდნენ. ზრუნავდნენ მათს როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ განვითარებაზე.

ყოველ დილას, როდესაც გიორგი ვარჯიშს მოათავებდა, თავს წერილებში მოიყვანდა, დედას ეახლებოდა და მის წინ გამოიჭიმებოდა.

— მსახურობ ერს? — ჰკითხავდა დედა.

— მარად... — იყო ხოლმე პასუხი.

მხოლოდ ამის შემდეგ იწყებოდა დედა-შვილის სასწავლო თუ სამუშაო დღე.

• • •

ერთი საუკუნის წინათ დიდ ჯიხაიშში ნიკო ნიკოლაძეს და მის მეუღლეს ოლღა გურამიშვილს — ილია ჭავჭავაძის მეუღლისა და დავით გურამიშვილის ნათესავს, ჟენევის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, ფრიად კეთილშობილსა და განსწავლულ მანდილოსანს, ვაჟი შეეძინათ. მას გიორგი უწოდეს.

ნიკოლაძეების ოჯახი მალე ფოთში გადავიდა, მაგრამ ზაფხულობით გიორგი კვლავ დიდ ჯიხაიშში მიჰყავდათ ხოლმე. იქ შეეყვარა მან ვარჯიში, ხოლო ფოთში — ცურვა და ყვინთვა. 8 წლის ასაკში ბიჭმა უკვე იმდენი იცოდა ფიზიკაში, რომ ახლობლებს აკვირვებდა; კითხულობდა დიდ მოგზაურობათა შესახებ წიგნებს; 10 წლისა თბილისის ვაჟთა I გიმნაზიაში მიაბარეს. ფიზიკისა და ქიმიისადმი ინტერესი მას ოჯახიდან გამოჰყვა, გიმნაზიაში ამას მათემატიკისადმი ინტერესიც დაემატა. „მათემატიკა გონების დისციპლინას აჩვევს", — უყვარდა ხოლმე თქმა გიორგის. მათემატიკურ საგანთა შორის იმთავითვე გეომეტრია შეიყვარა. უკვე მერე, პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ქიმიური განყოფილების სტუდენტი გ. ნიკოლაძე ერთი ანკეტის კითხვაზე „რა სპეციალობას აირჩევდით საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თავისუფალი არჩევანი რომ გქონდეთ?" — ასე უპასუხებს: „ყველაზე საინტერესო წმინდა მათემატიკაა, მაგრამ ჩემი მომავალი მიზნებისათვის უფრო მნიშვნელოვანია ის სპეციალობა, რომელიც მე ავირჩიე".

სტუდენტობის პერიოდში გიორგიმ შესამჩნევად გაიღრმავა ცოდნა მათემატიკაში. ამასთან არც სპორტს განშორდა — იწვრთნებოდა ტანვარჯიშში. სხვათა შორის იმხანად პეტერბურგში სწავლობდა გიორგის უმცროსი და, თამარი — აგრეთვე კარგი სპორტსმენი. 1923 წელს სტანვარჯიშო საზოგადოების მიერ ლონდონში გამართულ ქალთა შეჯიბრებაში თამარ ნიკოლაძემ პირველი ადგილი დაიკავა.

გიორგი ნიკოლაძემ მთამსვლელთა მთელი თაობა აღზარდა, რომელთაც თავის მხრივ თაობები გამოიყვანეს ამ ვაჟკაცური სპორტის არენაზე. მთამსვლელობა გიორგისათვის მხოლოდ სპორტი არ იყო. ეს გეოგრაფიული კვლევის საშუალებაც იყო. ამით აიხსნება ისიც, რომ მან აქტიური მონაწილეობა მიიღო გეოგრაფიული საზოგადოების შექმნაში.

ტექნოლოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მას მეტალურგიის და მასალათა ტექნოლოგიის კათედრებმა წინადადება მისცეს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის ინსტიტუტში დარჩენილიყო, მაგრამ გიორგიმ ქარხანაში მუშაობა არჩია, რადგან თვლიდა, რომ მაშინ მის სამშობლოს ეს უფრო სჭირდებოდა.

გ. ნიკოლაძემ ჯერ ტულის მეტალურგიულ ქარხანაში დაიწყო მუშაობა, ხოლო ერთი წლის შემდეგ დონბასში, იუზოვკაში გადავიდა. იქ მან 5 წელი დაჰყო. აკადემიკოსი ივანე ბარდინი იგონებდა: „იმ დროს დონბასში მუშაობა ადამიანისაგან მოითხოვდა დიდ ძალ-ღონეს, მოთმინებას და, რაც მთავარია, სიყვარულსა და ინტერესს. გ. ნიკოლაძე ასეთი მუშაობისათვის საჭირო ყველა პირობას აკმაყოფილებდა. როდესაც მოშლილობის გამო ბრძმედები ჩერდებოდა, იგი დღეებსა და ღამეებს ატარებდა ღუმელებთან". მალე გიორგი დონბასის უმნიშვნელოვანეს ქარხნებში მთელი ბრძმედოსნული მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი ხელმძღვანელი გახდა. პრაქტიკულის გარდა იგი სამეცნიერო მუშაობასაც ეწეოდა მეტალურგიაში. იგი იკვლევდა ფერო-სილიციუმის, ფერო-მანგანუმის, სილიკო-შპიგელის გამოდნობას ბრძმედებში სხვადასხვა პროცესის საშუალებით. იქ მიღებული გამოცდილება შემდგომში მან სამშობლოში გამოიყენა.

ცნობილია მისი პოეზიით გატაცება. ულექსოდ ერთი დღე არ უცხოვრია. საკუთარი თუ სხვისი ლექსები მისი ცხოვრების განუყრელი თანამგზავრები იყო. იუზოვკაში ისე შეაყვარა გარშემო ყველას პოეზია, რომ მისი წასვლის შემდეგაც განაგრძობდნენ საქარხნო ჟურნალის გამოცემას, სადაც ყოველდღიური ამბები ლექსად იყო გადმოცემული.

თბილისის უნივერსიტეტის გახსნისთანავე გ. ნიკოლაძე სამშობლოში დაბრუნდა და პროფესორ ანდრია რაზმაძის მიწვევით მათემატიკის კათედრაზე დაიწყო მუშაობა. 1922 წელს გიორგი ნიკოლაძე თბილისის უნივერსიტეტში პოლიტექნიკური ფაკულტეტის გახსნის აქტიური მონაწილე იყო. აქ იგი ანალიზურ გეომეტრიას კითხულობდა, შემდეგ კი ნომოგრაფიასა და სხვა მათემატიკურ დისციპლინებს, ხოლო ფიზიკა-მათემატიკურ ფაკულტეტზე — დიფერენციალურ გეომეტრიას გაუძღვა. სწორედ ამ პერიოდში გამოიკვეთა გიორგი ნიკოლაძის მიდრეკილება გეომეტრიისაკენ, უფრო ზუსტად — ალგებრული გეომეტრიისაკენ. სადოქტორო გამოცდების ჩაბარების შემდეგ მან ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის მანამდე არსებული ტრიო: ანდრია რაზმაძე, ნიკო მუსხელიშვილი და არჩილ ხარაძე, შეავსო. შემდგომ ეს ოთხეული „შესანიშნავი მათემატიკური კვარტეტის" სახელწოდებით შევიდა ჩვენი ქვეყნის მათემატიკის ისტორიაში. პროფესორი არჩილ ხარაძე ამბობდა: არავის ჩვენგანს ისე არ შეეძლო თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის შეგრძნობა და განხორციელება, როგორც გატაცებულ ინჟინერსა და მათემატიკოსს გიორგი ნიკოლაძეს. ამავე პერიოდში შეადგინა გ. ნიკოლაძემ მხაზველობითი გეომეტრიის სახელმძღვანელო.

1925 წელს გამოიცა ნ. მუსხელიშვილის, ა. ხარაძისა და გ. ნიკოლაძის „მათემატიკური ტერმინების ლექსიკონი" (რუსულ-ქართული ნაწილი). ამ საქმიანობაში გიორგის პრინციპი უცხო ტერმინების ქართულით შეცვლა იყო.

1926 წლიდან გ. ნიკოლაძე ორი წლით საფრანგეთსა და იტალიაში მიავლინეს. მან სორბონის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე — „გეომეტრიული ფიგურების უწყვეტი სისტემების შესახებ", რის შემდეგ მოხსენებით გამოვიდა ბოლონიის უნივერსიტეტში. პარიზში გამოაქვეყნა აგრეთვე თავისი ახალი სისტემის გამოთვლითი მანქანის პროექტი, ოღონდ ისეთი სახით, რომ მისი გამოყენება ნიკოლაძის გარეშე არავის შესძლებოდა. მის მანქანას სხვა მანქანებთან შედარებით მრავალი უპირატესობა ჰქონდა. ამის დამადასტურებელია ფრანგი აკადემიკოსის, გამოთვლითი მანქანების გამოჩენილი სპეციალისტის მორის დე ოკანის აღტაცებული რეცენზია. ნიკოლაძის მანქანის შესახებ ვრცელი ინფორმაციები გამოაქვეყნა პრესამ. ამერიკულმა და ევროპულმა ფირმებმა ავტორს მანქანის რეალიზაცია შესთავაზეს, მაგრამ მან ყველა უარით გაისტუმრა — არ უნდოდა თავისი გამოგონება უცხოელებისათვის მიეცა.

მათემატიკის პარალელურად ნიკოლაძეს თავისი საყვარელი მეორე საქმე არ ავიწყდებოდა. იგი სტრასბურგსა და ლონდონში ელექტროქიმიისა და ელექტრომეტალურგიის საკითხებს პრაქტიკულად ეცნობოდა.

გ. ნიკოლაძემ ფეხით შემოიარა საფრანგეთის ალპები, ველოსიპედით კი — საფრანგეთის დიდი ნაწილი, მატარებლით იმგზავრა იტალიასა და ესპანეთში, სადაც განსაკუთრებით ბასკების ყოფა შეისწავლა.

საფრანგეთში ყოფნის დროს გიორგი ნიკოლაძემ გაიცნო გამოჩენილი ქართველი მოღვაწის, ექიმ ვახტანგ ღამბაშიძის ქალიშვილი ქორქეტა, რომელზეც იქვე იქორწინა. იმავე წლის შემოდგომაზე იგი მეუღლესთან ერთად თბილისში დაბრუნდა. აქ მან მუშაობა დაიწყო თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტსა და უნივერსიტეტიდან ახლად გამოყოფილ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. აქ დაწერა სახელმძღვანელო დიფერენციალურ გეომეტრიაში, რომელიც აკადემიკოსების ელი კარტანის წინასიტყვაობითა და ნიკოლოზ მუსხელიშვილის მიერ შედგენილი ავტორის ბიოგრაფიით მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გამოიცა.

მამის გარდაცვალების შემდეგ გიორგიმ გადაწყვიტა აღესრულებინა მისი ოცნება — ხელი შეეწყო საქართველოში მეტალურგიის განვითარებისათვის. მან მიზნად დაისახა საბჭოთა კავშირში პირველი საცდელი ელექტრომეტალურგიული ქარხნის აშენება, მასში ელექტროთერმიული გზით ფეროშენადნობების მიღება.

1928 წლის შემოდგომაზე დიდუბეში დაიწყეს ფერომანგანუმის საცდელი ქარხნის დაგეგმარება და მშენებლობაც. 1930 წლის ივნისში უკვე პირველი ცდები ჩატარდა. დიდუბის საცდელი ქარხნის გავარვარებულ ღუმელებთან გიორგი ნიკოლაძე გაოფლიანდა, გაცივდა და ორმხრივი ფილტვების ანთება დაემართა. მისი გამომჯობინება ვეღარ მოხერხდა.

1931 წლის 5 თებერვალს გიორგი ნიკოლაძე 42 წლის ასაკში გარდაიცვალა. უზომო იყო თანამედროვეთა მწუხარება. დანაკარგს მძიმედ განიცდიდნენ ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის პროფესორ-პედაგოგთა შემადგენლობა, სტუდენტები, მთამსვლელები, მეტალურგები, ენათმეცნიერნი, გეოგრაფები, საერთოდ მთელი საქართველოს როგორც ახალგაზრდობა, ისე უფროსი თაობა. ცხედარი ხელით მივასვენეთ დიდუბის პანთეონამდე, კატაფალკი ცარიელი მოგვდევდა. დიდხანს, ძალიან დიდხანს ვერ წარმოგვედგინა, როგორ შეიძლებოდა ამ დევკაცის წაქცევა.

ქორქეტა ღამბაშიძისაგან გ. ნიკოლაძეს შვილი არ შესძენია. მან მძიმედ განიცადა მეუღლის დაკარგვა. ერთი წლის შემდეგ იგი პარიზში მშობლებთან დაბრუნდა. მერე ინგლისელ ლორდზე გათხოვდა და ლონდონში გადასახლდა. იქ შეეძინა ერთი ქალიშვილი, რომელსაც ნინო უწოდა. ქორქეტა ღამბაშიძე გარდაიცვალა გიორგი ნიკოლაძის გარდაცვალებიდან ზუსტად ნახევარი საუკუნის შემდეგ, 1981 წელს ლონდონში.

გიორგი ნიკოლაძის სახელის უკვდავსაყოფად ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას გიორგი ნიკოლაძის სახელი მიეკუთვნა; იქვე დაიდგა მისი ბიუსტი. ბიუსტი დაიდგა თბილისის უნივერსიტეტის მეორე კორპუსსა და ტოპოლოგიის კათედრაზე. უნივერსიტეტსა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაარსდა გიორგი ნიკოლაძის სახელობის სტიპენდიები; ტექნიკის დარგში საუკეთესო მეცნიერული ნაშრომისათვის დაარსდა გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია. ერი არ ივიწყებს თავის ღირსეულ შვილთა ღვაწლს, რომელნიც ბოლო ამოსუნთქვამდე მას მსახურობდნენ.

ვახტანგ პარკაძე,
პროფესორი, მეცნიერების ისტორიის პარიზის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი.

ქართული ტერმინოლოგიის დიდი მოამაგე

გიორგი ნიკოლაძე ერთი იმ მეცნიერთაგანია, რომლის სახელს უკავშირდება ჩვენში ტექნიკურ მეცნიერებათა ეროვნულ ენაზე ამეტყველება. როგორც ცნობილია, XX საუკუნის დასაწყისისათვის ახალმა ეპოქამ ეროვნულ მეცნიერებათა კვლევა-ძიების მასშტაბები უჩვეულოდ გააფართოვა და ამ მეცნიერებათა წარმომადგენლებს ახალი ამოცანები დაუსახა. იმ დროისათვის, ერთი მხრით, მეცნიერების მრავალი სხვადასხვა დარგის განვითარებასთან დაკავშირებით, ხოლო, მეორე მხრით, სკოლების გაეროვნულებასთან, ქართული უნივერსიტეტისა და სხვადასხვა ტიპის უმაღლეს თუ სპეციალურ სასწავლებელთა დაარსებასთან დაკავშირებით ქართულ ენაზე მეცნიერული ტერმინოლოგიის საჭიროების საკითხი მთელი სიმწვავით დადგა. ამ სასწავლო დაწესებულებებში საგნები ყველა დარგში უკვე ქართულ ენაზე იკითხებოდა. ეროვნული ტერმინოლოგია კი, ფაქტობრივად, არ იყო. ამ მხრივ განსაკუთრებით იგრძნობოდა ჩამორჩენა ტექნიკის დარგში, რომელიც იმ დროისათვის ახლად იდგამდა ფეხს. ტერმინოლოგიური მუშაობა ამ უბანზე საგანგებო ყურადღებას ითხოვდა.

პირველი ცდა ტექნიკური ტერმინოლოგიის შედგენისა ეკუთვნის საქართველოს ტექნიკურ საზოგადოებას, რომელმაც განიზრახა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შედგენა-დამუშავება და 1918 წლიდან დააარსა სატერმინო სექცია. ამ სექციის შემადგენლობა თავდაპირველად საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო, მაგრამ მალე, როდესაც გამოირკვა ამ საქმიანობის ხასიათი და სირთულე, ტექნიკური საზოგადოების ზოგმა წევრმა მუშაობაში მონაწილეობას თავი მიანება და სატერმინო სექციას მხოლოდ ოთხი ენთუზიასტი შემორჩა. ესენი იყვნენ: გიორგი გედევანიშვილი — სამხედრო ინჟინერი, არტილერისტი, თბილისის არსენალის უფროსი, იმ დროისათვის ტექნიკური საზოგადოების თავმჯდომარე და სატერმინო სექციის თავმჯდომარის მოადგილე; ხარკოვში ახლად კურსდამთავრებული ვახტანგ კაკაბაძე — ინჟინერ-ტექნოლოგი, ქიმიკოსი, თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის დირექტორი, სატერმინო სექციის თავმჯდომარე და ტექნიკური საზოგადოების მდივანი. მის სახელთანაა დაკავშირებული სატერმინო სექციის მუშაობის ორგანიზაცია; ინჟინერ-მშენებელი ირაკლი მედლიშვილი და იმ დროისათვის თბილისში გახსნილი რუსული პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, სატერმინო სექციის მდივანი დავით ბერეჟაშვილი.

1919 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში სატერმინო სექციაში მონაწილეობის მისაღებად შემოვიდა მეორე ჯგუფი — პეტროგრადში კურსდამთავრებული ინჟინერ-ტექნოლოგი, მათემატიკოსი გიორგი ნიკოლაძე, მისი უფროსი და, ქიმიკოსი, იმჟამად ჯიხაიშის გიმნაზიისა და ოთხწლედის მასწავლებელი რუსუდან ნიკოლაძე, ინჟინერ-ტექნოლოგი, ქიმიკოსი ივანე ბერიძე და ქიმიკოს-ორგანიკოსი, ლაიფციგიდან ახლად დაბრუნებული მიხეილ შალამბერიძე. სატერმინო სექციის ამ მეორე ჯგუფს მუშაობა დიდ ჯიხაიშში ჰქონდა დაწყებული სრულიად დამოუკიდებლად და ერთი წლით ადრეც კი, ვიდრე ტექნიკური საზოგადოების სატერმინო სექციას ფაქტობრივად (1917 წლის აგვისტოდან). და-ძმა ნიკოლაძეებს ტერმინების შეკრებისა და დამუშავების საქმეში დიდ დახმარებას უწევდა მათი ოჯახის ძველი მეგობარი, შემდგომში უკვე ცნობილი ტერმინოლოგი ვუკოლ ბერიძე.

ამგვარად, გიორგი და რუსუდან ნიკოლაძეების ხელმძღვანელობით შემდგარი ჯიხაიშის ჯგუფი და თბილისის სატერმინო სექცია მალე ერთ მთლიან კოლექტივად იქცა და მუშაობას შეუდგა.

ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპები, რომელიც საფუძვლად დაედო ამ კოლექტივის მუშაობას, არსებითად გიორგი ნიკოლაძეს ეკუთვნოდა. ამ პრინციპის მთავარი არსი საერთაშორისო სიტყვათა სრულ უგულებელყოფაში და მათ გაქართულებაში მდგომარეობდა.

სატერმინო სექციის წევრები თავდაუზოგავად მუშაობდნენ, დღე და ღამე, 8-10-12 საათის განმავლობაში. შემთხვევითი არ იყო, რომ მათ ივანე ჯავახიშვილი ხუმრობით „ბანგნაჭამ სიტყვარისტებს" უწოდებდა.

სექციის წევრები, უპირველეს ყოვლისა, თავს უყრიდნენ ქართულ ენაში უკვე არსებულ სიტყვებსა და ტერმინებს. სამიხოდ იყენებდნენ იმდროინდელ ლექსიკონებს, მეცნიერთა ცალკეულ შრომებს, სხვადასხვა სახელმძღვანელოებს. ზოგჯერ სასაუბრო ენის სიტყვას ტერმინის მნიშვნელობას ანიჭებდნენ და მეცნიერების ენაში დაკანონებას ცდილობდნენ. ამ დიდი საქმის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიჭითა და ცოდნით გამორჩეული გ. ნიკოლაძე იყო.

1919 წლის აგვისტოს პირველ ნახევარში საქართველოს ტექნიკური საზოგადოების სატერმინო სექციამ თავისი ინტენსიური მუშაობა დაამთავრა და 1920 წლისათვის გამოსცა კოლექტიური ნაშრომი შემდეგი სათაურით — „რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი (სიტყვარი)". ამ წიგნის მეორე შევსებული გამოცემა (ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ნაწილი) 1921 წელს გამოქვეყნდა.

ცნობილია, რომ დასახელებულ ლექსიკონს ბევრი ნაკლი ჰქონდა. ეს ბუნებრივიც იყო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იმ ხანებში ტექნიკის ამა თუ იმ დარგის ტერმინების ქართულ ენაზე შექმნის საქმეში არავითარი გამოცდილება არ არსებობდა. ბუნებრივია, არ იყო შემუშავებული პრინციპები ტერმინების შერჩევისა და აგებისა. ლექსიკონის შემდგენლებს პირველად უხდებოდათ ამ რთული და საპასუხისმგებლო ამოცანის გადაწყვეტა. ამას თუ დავუმატებთ იმასაც, რომ შემდგენლებს ინტერნაციონალურ ტერმინთა ნაცვლად ერთბაშად ასობით და ათასობით სრულიად ახალი ტერმინი უნდა შეექმნათ, ადვილი წარმოსადგენია, თუ სატერმინო სექცია როგორ დაბრკოლებებს წააწყდებოდა.

მასალის კონკრეტული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ავტორების მიერ არჩეული საშუალებები ტერმინების აგებისა მეტწილ შემთხვევაში თუ სწორი და გამართლებული იყო, ზოგჯერ — მეტად თავისებური და ენობრივი კანონების მიხედვით მიუღებელი. განსაკუთრებით ეს საერთაშორისო ტერმინებს შეეხებოდა, რომელთა სათარგმნელად ისინი ამ სიტყვათა ეტიმოლოგიზაციას ახდენდნენ, აზრობრივად თარგმნიდნენ ან არადა ხელოვნურად თხზავდნენ. ავტორები, მართალია, თვითონაც კარგად გრძნობდნენ, რომ ასეთი უკიდურესად პურისტული ტენდენცია — აბსოლუტურად ყველაფრის ქართულ ნიადაგზე დამყნობა რეალურად შეუძლებელი იყო, მაგრამ, როგორც ამას ვუკ. ბერიძე წერდა, ეს ლექსიკონი წარმოიშვა როგორც რეაქცია, როგორც პასუხი იმ პოლიტიკისა, რომელიც ყოველგვარი ეროვნულისაგან ხელის აღებას ქადაგებდა. ამასვე ადასტურებს გ. ნიკოლაძის დღიურში ჩანაწერი მისივე სიტყვები: „მე გაქართულებას, ცხადია, გალმა გადავების მიზნით ვქადაგებ, თორემ გიჟი ხომ არა ვარ, რომ მათემატიკას, ქიმიას ან ფიზიკას სახელების შეცვლას ვუპირებდე ან მოველოდე ჩვენი პლანეტის რომელიმე კუთხეში".

ტექნიკური საზოგადოების მიერ შედგენილმა ტერმინოლოგიამ უდიდესი როლი ითამაშა: ქართული ტექნიკური სიტყვა ითქვა, ქართულ ტექნიკურ ტერმინოლოგიას დასაბამი მიეცა. ამ ლექსიკონის შემდგენელთა მიერ შემოღებული ბევრი ტერმინი დღეს ისე შეესისხლხორცა ჩვენს მეტყველებას, თითქოს ამ სიტყვების გარეშე არასოდეს არსებობდა ქართული ენა. ასეთია დღეს ყველასათვის ცნობილი: წნევა (რომლისთვისაც მანამდე წოლ ძირასაგან ნაწარმოები სხვადასხვა ტერმინი იხმარებოდა: წოლა, დაწოლა, მიწოლა, ზედაწოლა), დენი, ძრავა, ბრჯენი, მქნევარა, ბუდობი, სადენი, სიჩქარე, ხრახნი, მდგრადი, ხსნარი, წნეხი, წონადობა, ჭერადი, ნათურა, სანთურა, ქუთრი, მინარევი, მართი კუთხე, მართობი, ფართი, ფარდობა, ძრაობა, სამკაპი, საცხი, ჭვარედინი, შუქფარი, ელმექი, ტოლობა, ტოლდიდი, ტოლგვერდა და მრავალი სხვა.

ამ ტერმინთა უმრავლესობის ავტორი სწორედ გიორგი ნიკოლაძეა. ტექნიკური საზოგადოების მიერ შედგენილი ეს ლექსიკონი ის წიგნია, საიდანაც სათავეს იღებს ჩვენში ტექნიკური ტერმინოლოგია და რომელმაც შვიდი ათეული წლის ტერმინოლოგიური მუშაობის ისტორია შემოგვინახა. სწორედ აქედან იღებს სათავეს ტექნიკის სხვადასხვა დარგში სახელმძღვანელოთა ქართულ ენაზე შექმნა-დამუშავების საქმე. გ. ნიკოლაძის მიერ შედგენილი დიფერენციალური გეომეტრიის პირველი სახელმძღვანელო, ისევე როგორც მისი სხვა წიგნები, მრავალ ისეთ ტერმინს მოიცავს, რომლის ავტორი და დამნერგავი თვითონაა. ბევრმა მისეულმა ტერმინმა ენაში გზა გაიკაფა და მის სახელს სამუდამოდ დაუკავშირდა. თბილისის ქართული უნივერსიტეტის ლექტორი და ქართულ სახელმძღვანელოთა ავტორი — გიორგი ნიკოლაძე დიდ პოპულარიზაციას უწევდა ქართულ მეცნიერულ სიტყვას, მეცნიერული აზრის ქართულ ენაზე დამყნობის საქმეს. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ 1977 წელს გამოცემულ „ტექნიკურ ტერმინოლოგიას" გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია მიენიჭა, რომელიც 1978 წელს ტექნიკის დარგში საუკეთესო მეცნიერული ნაშრომისათვის და სამეცნიერო ტექნიკურ ტერმინოლოგიაში გიორგი ნიკოლაძის დიდი დამსახურებისათვის იქნა დაწესებული.

გიორგი ნიკოლაძის სახელს უკავშირდება ასევე საქართველოში პირველი სატანვარჯიშო ტერმინოლოგიის შექმნაც. ვინც გ. ნიკოლაძის ბიოგრაფიას იცნობს, იმან კარგად იცის, თუ რა ადგილი ეკავა სპორტს მის ცხოვრებაში.

ჯერ კიდევ 1908 წელს როდესაც გ. ნიკოლაძე წარმატებით გამოვიდა ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრაზე ბულგარეთში, სპორტის დარგში სოფიის უნივერსიტეტის მუშაობით აღტაცებულს, დაუწყია ფიქრი ქართულ ენაზე სატანვარჯიშო ტერმინოლოგიის შექმნის შესახებ. 1910-1911 წლებში რუსეთში ყოფნის დროს გ. ნიკოლაძეს ბევრი უცხოური (განსაკუთრებით ჩეხური) თუ რუსული ტერმინი გადმოუქართულებია, ზოგი თვითონ შეუქმნია და ამგვარად თავი მოუყრია ეროვნული სატანვარჯიშო ტერმინოლოგიისათვის, რომელიც შემდგომში არა მხოლოდ მის მიერ დაარსებული თბილისის სპორტული საზოგადოების „შევარდენის" სავალდებულო სახელმძღვანელოდ ითვლებოდა, არამედ დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს ყველა სხვა სპორტულ საზოგადოებათა და სასწავლებელთა ერთადერთ სახელმძღვანელო წიგნად იქცა.

გიორგი ნიკოლაძის მიერ შედგენილი ეს შრომა სათაურით „საშევარდენო ტანვარჯიშის ტერმინოლოგია", რომელიც 1918 წელს იქნა შესწორებული და შევსებული, მხოლოდ 1928 წელს დაიბეჭდა როგორც დამატება საქართველოს ტექნიკური საზოგადოების მიერ შედგენილი რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონისა.

მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული წიგნი მოცულობით პატარაა, იგი შეიცავს სატანვარჯიშო დარგის ძირითად ცნებებს და წარმოადგენს პირველ ცდას ქართულ ენაზე სპორტის ტერმინოლოგიის შედგენისას.

ლექსიკონში შესული მრავალი ტერმინი პირველადაა შემოღებული წიგნის ავტორის მიერ. ასეთებია: ღერძი **жердь**, ორღერძი **параллельные брусья**, კიდევა **вис** (აქედან: წოლკიდვა **вис лежа**) და სხვა.

დღეს შეიძლება ბევრმა არც იცოდეს, რომ გიორგი ნიკოლაძისაა თვით სიტყვა ტანვარჯიში. მთასვლელობა (შემდგომში: მთამსვლელობა), მსაჯი და ბევრი სხვ.

ჩამოთვლილი მაგალითებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გ. ნიკოლაძის მიერ ტერმინთა ასაგებად გამოყენებული ახალი დერივაციული მოდელი, რომელიც ქართული ენისათვის უპრეცედენტო არ იყო, მაგრამ მისი ხმარების სიხშირე სულ რამდენიმე მაგალითით ამოიწურებოდა. ესაა ზმნის ფუძეთა გასუბსტანტივება და მათი ამა თუ იმ ცნებისათვის მიკუთვნება. ამ გზითაა მიღებული ზემოთ დასახელებული ხტომი, ლუნი, ქნევი და მისთანები.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი არ იცნობდა იმდროინდელი ლინგვისტური მეცნიერების საფუძვლებს, ტერმინთა შესაქმნელად არჩეული ეს გზა მყარი გამოდგა და სპორტის ენაში ამგვარმა ფორმებმა სამუდამოდ ფეხი მოიკიდა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს გ. ნიკოლაძის დამსახურება ქართული მათემატიკური ტერმინოლოგიის შედგენის საქმეშიც. იგი ნ. მუსხელიშვილთან და ა. ხარაძესთან ერთად ერთ-ერთი ავტორია პირველი მათემატიკური ტერმინოლოგიისა, რომელიც 1925 წელს გამოიცა.

სამწუხაროდ, გიორგი ნიკოლაძის ტერმინოლოგიური მემკვიდრეობა დღეს სრულად შესწავლილი და გამოვლენილი არაა. მიუხედავად ამისა, ყველაფერი ის, რაც ზემოთ ითქვა, კარგად მეტყველებს იმ ფასდაუდებელ ღვაწლზე, რომელიც გიორგი ნიკოლაძემ ქართული მეცნიერული ენის განვითარებაში შეიტანა.

საუკეთესო ტრადიციებზე აღზრდილი, ჩინებული ოჯახის შვილი გიორგი ნიკოლაძე ინტელიგენტი ქართველი კაცის ყველა თვისებით იყო დაჯილდოებული და საზოგადო თუ პირად ცხოვრებაში ერთნაირი მომხიბლავი მადლით ცხებული. მის სახელს ყოველთვის მოწიწებით მოიხსენიებს ყველა ქართველი, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი კულტურული წარსული, ერისა და ენის ბედი.

რომნედა ლამბაშიძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

უცხოეთში

საქპრესი იუწყება
19 დეკემბერი

● საფრანგეთი

სოლიდარობის ტვირთი

მარსელი. ევროპაში უდიდესი მარსელის ნავსადგურის ნავმისადგომიდან გავიდა საზღვაო ლაინერი „ნიკოლოზ ჩერნიშევსკი", რომელიც კურსს საბჭოთა ნაპირებისაკენ იღებს. ხომალდი დატვირთულია მარსელის და საფრანგეთის ბუშ-დიუ-რონის დეპარტამენტის სომხური თემის მიერ შეგროვებული 250 ტონაზე მეტი სხვადასხვა ტვირთით.

სოლიდარობის ტვირთი შეიცავს სამედიცინო მოწყობილობას, სამშენებლო ტექნიკას, სურსათს, ასაწყობ სახლებს, კარვებსა და პირველი საჭიროების სხვა საგნებს. საბჭოთა ხომალდში იგი მარსელის ნავსადგურის მუშაკებმა უსასყიდლოდ დატვირთეს... ეს მოხდა შაბათს, დღეს კი ნიცის აეროპორტიდან ერევნისაკენ იღებს კურსს კიდევ ერთი სატრანსპორტო თვითმფრინავი 35 ტონა ტვირთით — ეს არის „ხელოვნური თირკმელის" აპარატები, რომელიც ძალზე საჭიროა დაზარალებულთა დასახმარებლად, მედიკამენტები.

● კუბა-ანგოლა

ოფიციალური მოლაპარაკება

ჰავანა. აქ დაიწყო კუბის რესპუბლიკისა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციების ოფიციალური მოლაპარაკება. დელეგაციებს მეთაურობენ კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფიდელ კასტრო და მპლა-შრომის პარტიის თავმჯდომარე, ანგოლის პრეზიდენტი ჟოზე ედუარდუ დუშ სანტუში. განხილვის დროს მხარეებმა აღნიშნეს თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ურთიერთგაგებას სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის. ითქვა, რომ ამ პროცესის შედეგად დაისახა ანგოლის მშვიდობისა და უშიშროების, ნამიბიის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის გზა.

● ანგოლა

დანაშაულებრივი აქციები

ლუანდა. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიერ უკანონოდ ოკუპირებული ნამიბიის მშვიდობიანი მცხოვრებლები სულ უფრო ხშირად ხდებიან უნიტას ტერორისტული დაჯგუფების ბანდიტების დანაშაულებრივი საქმიანობის ობიექტებად. ამ ჯგუფს ინახავენ ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და აპარტეიდის სახელმწიფო სპეცსამსახურები. როგორც ანგოლის საინფორმაციო სააგენტო — ანგოპი იუწყება, ტერორისტები თავს დაესხნენ სოფელ ომატანგას ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონში. თავდასხმის დროს მოკლეს გლეხი ფილიპუს ნდიში. ბანდიტები აბუჩად იგდებდნენ სოფლის მცხოვრებლებს, აწამებდნენ მათ ხიშტებით, წასვლისას კი გარეკეს პირუტყვი. მარიონეტული დაჯგუფების ტერორისტებმა ქალაქ ცუმებიდან გაიტაცეს ვაჟარი მარტინ კამბანდუ, რომლის ბედი ჯერჯერობით გაურკვეველია.

ყველა ეს დანაშაულებრივი აქცია აღინიშნავს სააგენტო, ხორციელდება სამხრეთ აფრიკის სოციალისტ რეჟიმის წაყრუებით. სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში ვითარების მოწესრიგების შესახებ ოთხმხრივი მოლაპარაკების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების წინააღმდეგ, პრეტორია ყოველმხრივ უშლის ხელს საკონტროლო-სამეთვალყურეო პუნქტების შექმნას კაპრივის ზოლის (ჩრდილო-აღმოსავლეთი ნამიბია) რაიონში ანგოლა-ნამიბიის საზღვრის გასწვრივ, რათა უზრუნველყოს ბანდიტების დაუბრკოლებელი შემოჭრა ანგოლის სამხრეთი რაიონებიდან ნამიბიის ტერიტორიაზე და მათი უკან დაბრუნება.

● შრი-ლანკა

პრეზიდენტის არჩევნები

კოლომბო. შრი-ლანკაში დაიწყო პრეზიდენტის არჩევნები, პირველი შედეგები კი ცნობილი გახდება სამშაბათს ადრე დილით. არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლია 9 მილიონზე მეტ ამომრჩეველს.

კენჭისყრის დროს მართლწესრიგს დაიცავენ 36 ათასი პოლიციელი, აგრეთვე არმიის ქვედანაყოფები. ამასთან დაკავშირებით ქვეყნის თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომლითაც უარყო ჭორი იმის თაობაზე, რომ არჩევნების დღეს იმოქმედებს კომენდანტის საათი.

ძირითადი ბრძოლა სახელმწიფოს მეთაურის პოსტისათვის გაჩაღდება ახლანდელ პრემიერ-მინისტრ რანასინგჰე პრემადასასა და შრი-ლანკის თავისუფლების პარტიის თავმჯდომარეს სირიმავო ბანდარანაიკეს შორის. გაზეთმა „სანდი ობსერვერმა" გამოაქვეყნა პრემადასას განცხადება როიტერის სააგენტოსათვის ბანდარანაიკის მიერ ამ ცოტა ხნის წინათ მიცემული ინტერვიუს გამო, სადაც ბანდარანაიკემ აღნიშნა, რომ „მისი დამარცხების შემთხვევაში ქვეყანაში იფეთქებს აჯანყება". „ეს გამონათქვამი მოწმობს, რომ ბანდარანაიკე უხეშად უგულებელყოფს დემოკრატიულ პრინციპებს. არჩევნების დროს შრი-ლანკის ხალხი სათანადო პასუხს გასცემს მის უპასუხისმგებლო განცხადებებს", — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

● ირანი

აღმოაჩინეს ახალი საბადო

ნიქოზია. ირანში აღმოაჩინეს ნავთობის ახალი უდიდესი საბადო. ეს ირნას სააგენტოს აცნობა ნავთობის მინისტრმა აღა-ზადემ. საბადო, რომელიც მდებარეობს ქალაქ ბეჰბეჰანის აღმოსავლეთით, ექსპერტთა შეფასებით, შეიცავს დაახლოებით 10 მილიარდ ბარელს, ანუ 1,6 მილიარდ ტონა მაღალხარისხოვან ნავთობს. სამი ნავთობიანი ფენიდან პირველი განლაგებულია 2167 მეტრ სიღრმეზე და შეიცავს დაახლოებით 200 მილიონ ბარელ ნავთობს. გარდა ამისა აღმოაჩინეს ბუნებრივი გაზის ვრცელი ბუდობები.

როგორც მინისტრმა თქვა, უახლოეს დროში დაიწყება ნავთობის ბაქნების მშენებლობა კასპიის ზღვაში, სადაც უკვე განსაზღვრულია ამ სასარგებლო წიაღისეულის ძიების ადგილები.

სტატისტიკური მონაცემებით, ირანის ნავთობის ახალი რეზერვები შეიცავენ 350-400 მილიარდ ბარელს და უზრუნველყოფენ ამ უმნიშვნელოვანესი ნედლეულის ახლანდელი ტემპით მოპოვებას 100 წელზე მეტი ხნის მანძილზე.

ტელეტაიპის ლენტიდან

● **პეკინი.** პეკინში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ლი პენის მიწვევით ხუთდღიან ოფიციალურ ვიზიტად ჩავიდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრი რაჯივ განდი. ჩინეთში თავისი ყოფნის დროს ინდოეთის მთავრობის მეთაური გამართავს მოლაპარაკებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან და განიხილავს ორმხრივი ურთიერთობის საკითხებსა და საერთაშორისო პრობლემებს.

● **მონტევიდეო.** ურუგვაიში მოქმედმა ანტიიმპერიალისტურმა კოალიციამ, რომელიც აერთიანებს ქვეყნის დემოკრატიულ და პატრიოტულ ძალებს — ფართო ფრონტმა აქ გამართულ პლენუმზე თავმჯდომარე ლიბერ სერენი დაასახელა ქვეყნის პრეზიდენტობის ერთიან კანდიდატად მომავალი წლის ნოემბრის საყოველთაო არჩევნებში.

● **ბონი.** დიდთოვლობამ, რომელიც უეცრად დაატყდა თავს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, მკვეთრად გაამწვავა სიტუაცია ამ ქვეყნის საავტომობილო გზებზე. ექვსი კაცი დაიღუპა, ექვსი მძიმედ დაშავდა — ასეთია ლიპყინულის გამო ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილის ქალაქების ვილჰემსჰაფენისა და კილის რაიონებში კვირას მომხდარი სამი ავარიის შედეგი.

მედიცინის სიახლენი



● **ბუდაპეშტი.** უნგრეთ-შვეციის ერთობლივმა ფარმაცევტულმა საწარმომ „ფსორიკურმა", რომელიც წელს დაარსდა, ამას წინათ დაიწყო კანის ქრონიკული დაავადების ფსორიაზის სამკურნალო ახალი პრეპარატის გამოშვება. ყოველწლიურად დაგეგმილია 25.000 ლიტრი წამლის წარმოება. პრეპარატის გამოყენების კურსი ოთხ თვემდეა. უნგრეთის სააგენტოს მონაცემებით, რომელმაც ეს ფოტოსურათი გაავრცელა, ფსორიაზით დაავადებულია ევროპისა და შეერთებული შტატების თითქმის 220 მილიონი მცხოვრები.

სურათზე: ფაბრიკის საამქროში.

მტი-საქპრესის ფოტო

ჩამი მოჭამჭდეჩისა, ჩამი იმედისა

საკავშირო პრესის ფურცლებზე

დანგრეული სტადიონები აღდგება

სომხეთი, დიდი და პატარა, ალსავსენი არიან მადლიერებით მთელი მათდამი გამოჩენილი გულმოწყალებისათვის. რესპუბლიკაში იმდენი დეპეშა მოდის, გულით რომ მოინდომო, ვერ დათვლი. და ყოველ მათგანში ჭერისა და პურის გაზიარებას სთავაზობენ. ბევრია დეპეშა და წერილი, რომლებითაც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის სპორტული ორგანიზაციები სომეხ სპორტსმენებს თავისთან ეპატიჟებიან სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე. მაგრამ ყოველივე ეს ხვალინდელი დღეა, დღეს კი...

რესპუბლიკის სპორტული ბაზა დიდად დაზარალდა. ჩვენი მონაცემებით, მიწისძვრამ დაანგრია 4 სტადიონი, 5 საცურაო აუზი, 20 სასროლი ტირი, 201 სპორტული დარბაზი, აღარ არსებობს ლენინაკანის სპორტული კომპლექსის სკოლა-ინტერნატი, სპიტაკის საბავშვო-საყმაწვილო სპორტული სკოლა.

— ჩვენ შექმენით ჯგუფები, რომლებიც ადგილზე სწავლობენ, თუ რამდენად დანგრეულია სპორტული ბაზები და რეკომენდაციებს ამზადებენ მათი შემდგომი აღდგენის თაობაზე, — გვეუბნება **სომხეთის სპორტსახკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი მ. იხპირიანი.** — ამ დღეებში მივიღეთ დადგენილება, რომლის შესაბამისად პირველი დღეებისათვის გამოყოფილ ასი ათას მანეთს დახმარების ფონდიდან კიდევ 50 ათასი მანეთი დაემატება, ეს ფული გათვალისწინებული იყო შეკრებებისა და შეჯიბრებების მოსაწყობად. მაგრამ ახლა მარტო ფული როდია საჭირო. ჩვენი თანამშრომლების, სომხეთის ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის, ერევნის ფიზკულტურის ტექნიკუმის სტუდენტების უმრავლესობა ახლა ლენინაკანში, სპიტაკსა და კიროვაკანშია, მაშველ და აღდგენით სამუშაოებზე არიან დასაქმებულნი. უსახლკაროდ დარჩენილი ხალხი ჩვენმა სპორტულმა ბაზებმა პირველ დღეებშივე მიიღეს. გამოეყოთ ტანსაცმელი, ორგანიზებულია ჭამა-სმა. ერთი სიტყვით, ვეხმარებით, რამდენადაც შეგვიძლია.

— წელს 80 ათასი მანეთი დავზოგეთ. ახლა ამ ფულს უბედურებაში ჩავარდნილი სპორტული პროფკავშირული მუშაკების ოჯახების დახმარებას ვახმართ, — გვეუბნება **პროფკავშირთა საკავშირო ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ს. კაზარიანი.** — ჩვენ მზად ვართ ეს ოჯახები მივიღოთ და დავაბინავოთ სომხეთის სხვა რაიონებში. ამას წინათ შექმნილი სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ყველა თანამშრომელი ამჟამად პროფკავშირების ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების გაერთიანებულ მთამსვლელთა რაზმთან ერთად მიწისძვრის ზონაშია. იქვე შრომობენ ჩვენი მწვრთნელები სპორტული სკოლების აღსაზრდელებთან. ამ დღეებში ერევანში მოველით კონტეინერს, რომელიც საზოგადოების საკავშირო საბჭომ გამოგზავნა. აქ არის 100 ათასი მანეთის ინვენტარი და პირველი საჭიროების საგნები, რომლებსაც დაუყოვნებლივ დავურიგებთ დაზარალებულებს.

— ამ დღეებში ლენინაკანში, სპიტაკსა და კიროვაკანში გაემგზავრნენ დინამოელი ბრიგადები, რომლებსაც მეთაურობს წინათაც ცნობილი ხუთჭიდელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ა. ულამბარიანი, — გვითხრა **„დინამოს" სომხეთის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ რ. ესაიანმა.** — სპორტსმენები ხერგილების გაწმენდაზე, უწინარესად სოფლებში, იმუშავებენ.

მაშველი და აღდგენითი სამუშაოები გრძელდება.

მ. ანჯელიანი,
დ. კაკაბაძე.

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტები გვატყობინებენ უზიდურების რაიონიდან

მარადონას გუნდის კეთილშობილური ჟესტი

დღეს თქვენ ვერ იპოვით კაცს, გულგრილი რომ დარჩენილიყოს სომეხი ხალხის უბედურებისადმი. ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა ტელექსმაც, რომელიც საბჭოთა კავშირის სპორტსახკომის ფეხბურთისა და ჰოკეის სამმართველომ მიიღო იტალიიდან. ტელექსის შინაარსი ასეთია: სახელგანთქმული კლუბი „ნაპოლი" თბილისის „დინამოს" ეპატიჟება, რომ საქველმოქმედო მატჩი გამართონ და მთელი შემოსავალი სომხეთში მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების ფონდში გადარიცხონ. ტელექსს ხელს აწერენ „ნაპოლის" პრეზიდენტი სინიორ კორადო ფერლაინო და გუნდის სახელმოხვეჭილი ლიდერი, არგენტინელი დიეგო მარადონა.

როგორ გამოეხმაურნენ ამ მიპატიჟებას თბილისელი „დინამოელები". ამის გასარკვევად საგანგებოდ შევხვდი თბილისელთა მთავარ მწვრთნელს დავით ყიფიანს.

— უბედურებამ, რომელიც ჩვენს სომეხ ძმებს დაატყდათ თავს, შეგვძრა, —გვითხრა ყიფიანმა. — მე მგონია, დედამიწაზე არ მოიძებნება კაცი, რომელიც გულწრფელად არ ცდილობდეს დაეხმაროს უბედურებაში ჩავარდნილთ, რაღაც გაიღოს მათთვის პირადად. როცა შევიტყვე, რომ „ნაპოლი" გვთავაზობს საქველმოქმედო მატჩი გავმართოთ, უყოყმანოდ დავეთანხმე. სხვა ვითარებაში მე, როგორც მწვრთნელი, მიუხედავად იმისა, რომ მარადონას გუნდთან შეხვედრა დიდად საპატიოა, ბევრ რამეს ავწონ-დავწონიდი, სანამ ნეაპოლში გამგზავრებას დავთანხმდებოდი. ჩვენი გუნდი ხომ ამჟამად შვებულებაშია და მოთამაშეები, ცხადია, დიდად მზად არ არიან ასეთ სახელოვან მეტოქესთან შესახვედრად. მით უმეტეს, რომ იტალიაში ახლა გახურებული სეზონია, „ნაპოლის" კი, რომელშიც მარადონას გარდა კარეკა, კარნევალე და სხვა ცნობილი ოსტატები თამაშობენ, ჩემპიონატის პირველ ცხრა ტურში ერთი მატჩიც კი არ წაუგია. მაგრამ დღეს ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ის არის, რომ მოვიგებთ თუ წავაგებთ, მაინც რეალურად ვარგებთ სტიქიით დაზარალებულთ. ისლა დაგვრჩენია, დიდი მადლობა გადავუხადოთ „ნაპოლის" ხელმძღვანელებსა და ფეხბურთელებს ჩვენი მეზობლებისადმი გამოჩენილი ესოდენი კეთილშობილებისათვის.

საღამოს შინ დავურეკე ოთარ გაბელიას, თბილისის „დინამოს" კაპიტანს, აი რა მითხრა მან:

— უბედურებაში ჩავარდნილთა დახმარება ყოველი პატიოსანი კაცის მოვალეობაა. კმაყოფილი ვართ, რომ იტალიელ ფეხბურთელებთან ერთად შევძლებთ არა მარტო მორალურად, არამედ მატერიალურადაც დავეხმაროთ შემზარავი მიწისძვრით დაზარალებულთ. ამ შემთხვევაში შეხვედრის სპორტულ შედეგს მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ ნურავის ეგონება, თითქოს საბრძოლველად არ ვიყოთ განწყობილნი. პირიქით, დარწმუნებული ვარ, ყოველი ჩვენგანი ყოველნაირად ეცდება, მაყურებლებს კარგი თამაში უჩვენოს.

მაშ ასე, თბილისის „დინამოს" ძირითადი შემადგენლობა შვებულებიდან გამოიძახეს. 17 დეკემბერს გუნდმა პირველად ივარჯიშა. ოცდაერთში თბილისელები მოსკოვში მიფრინავენ, მეორე დღეს კი იქიდან იტალიაში. 24 დეკემბერს ნეაპოლის „სან-პაულოს" სტადიონზე, რომელზეც 90 ათასი კაცი ეტევა, გაიმართება „ნაპოლი"-თბილისის „დინამოს" საქველმოქმედო მატჩი.

დ ქავთარაძე.

„სოვეტსკი სპორტი". 1988 წ. 18 XII.

მომსახურება

რეისები იშლება, ცარიელი თვითმფრინავები სერავენ ცას

თბილისის აეროპორტი რესპუბლიკის საჰაერო ჭიშკარია. ეს იმას ნიშნავს, რომ აქედანაც ყოველდღიურად ათასობით მგზავრი მიემგზავრება როგორც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში და იქიდანაც ჩამოდის ჩვენს დედაქალაქში ათასობით უცნობი თუ ნაცნობი, მოკეთე თუ მოძულე. ჩამოსულთა შორის არიან ადამიანები, რომლებსაც აინტერესებთ, როგორ ვცხოვრობთ, როგორ ვშრომობთ, რას წარმოადგენს ჩვენი კულტურა, რა სერვისი გვაქვს, როგორ ვუხვდებით სტუმრებს...

ეს კი მუდამ უნდა გვაფიქრებდეს: რას იტყვიან, რა შთაბეჭდილებას მოახდენს მათზე ჩვენი ქვეყანა, მისი ხალხი, როგორი გამოჟინდებით სტუმრების თვალში.

მაგრამ როგორც ამას ვფიქრობთ ჩვენ, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს სახელი, მისი ავტორიტეტი, ასევე როდი ფიქრობს და როდი აზროვნებს რესპუბლიკის სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს და აეროპორტის ყველა მუშაკი. ზოგს ისე შეპარვია ნიჰილიზმი, უდარდელობა, უპასუხისმგებლობა, რომ აღარ დაგიდევს ამ ჩვენ სატკივარს და საზრუნავს, არ ითვალისწინებს იმას, რომ მისი გაგებით თითქოს ერთი პატარა დარღვევა ან შეცდომა შესაძლოა რესპუბლიკის დიდ ლაქად და სირცხვილად იქცეს.

ამ დასკვნის საფუძველს რესპუბლიკის პროკურატურის, ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურატურისა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოვლენილი დარღვევები გვაძლევს.

მივყვეთ ფაქტებს.

9 აგვისტოს მოსკოვის დამატებითი რეისი (944) მგზავრთა გადაზიდვის ორგანიზაციის თანამშრომლებს მხედველობიდან გამორჩათ, რის გამოც თვითმფრინავი გაფრინდა სამოცდაცამეტი ცარიელი ადგილით. არა და, ვინ იცის რამდენი იყო სტუმარი თუ მასპინძელი, რომლებსაც მოსკოვში გამგზავრება სჭირდებოდათ. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ასეთი ცარიელი ადგილების საერთო რაოდენობამ 67.675 შეადგინა!

ახლა ავიღოთ არაკეთილსინდისიერი მომსახურებისა თუ რეისების დიდი დაგვიანების მიზეზით უკანდაბრუნებული ბილეთების რიცხვი! — იგი ყოველთვიურად 10-დან 13 ათას ერთეულს აღწევს. ისეთ რეისებზეც კი, რომლებზეც დიდი მოთხოვნილებაა, თვით ივლისის თვეში თვითმფრინავების მინიმალურმა დატვირთვამ 7,9, ხოლო მაქსიმალურმა — 40,8 პროცენტი შეადგინა; აგვისტოში მინიმალური იყო 7,8 პროცენტი, მაქსიმალური — 45,1 პროცენტი. ასე რომ, ზაფხულის პერიოდში საშუალო თვიურმა დატვირთვამ 17,5 პროცენტი შეადგინა.

ავიაბილეთების მწვავე დეფიციტის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ადგილების დაჯავშნის გადამეტება, ბილეთების გაყიდვასა და გამოუყენებელი ჯავშნის დროულად ათვისების ორგანიზაციაზე სათანადო კონტროლის უქონლობა, ადგილების ხელოვნური „გაყინვა".

მგზავრთა რეგისტრაცია აეროპორტებში უნდა მთავრდებოდეს გაფრენამდე ორმოცი წუთით ადრე. ეს წესი სისტემატურად ირღვევა და ფაქტობრივად დაყვანილია ოც წუთამდე. ამის გამო დარჩენილ მოკლე დროში თავისუფალი ადგილების სრული რეალიზაცია არ ხერხდება, თვითმფრინავები ნაწილობრივ შეუვსებლად მიფრინავენ. ბუნებრივია, ყველაფერი ეს მგზავრთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

სერიოზული ნაკლოვანებები გამოვლინდა კადრების შერჩევასა, აღზრდასა და განაწილებაში. 114 მოლარიდან 15 უმაღლესი განათლებით არის. მათ შორის 9 — პედაგოგია, 3 ეკონომისტი, 1 ზოოტექნიკოს-ინჟინერი (!), 1 მუსიკის მასწავლებელი (!), თუმცა მოლარეობისათვის სრულიად საკმარისია საშუალო განათლება, შესაბამისი კურსების გავლის შემდეგ. სამუშაოზე კომპრომენტირებული დათხოვნილი მოლარეც აღუდგენიათ, რომელსაც კვლავ ჩაუდენია დანაშაული და მხოლოდ დისციპლინარული სასჯელი უკმარებიათ. რა მფარველობაა ასეთი! ირღვევა საკასო წესები. ზოგს ეს არაფრად მიაჩნია.

მაგალითად, მოლარე საყვარელიძე სხვადასხვა დანაშაულისათვის ბრძანებით დაითხოვეს. ერთი წლის შემდეგ ეს ბრძანება გააუქმეს და საყვარელიძე აღადგინეს, ამის შემდეგ მან ჩაიდინა უხეში დარღვევები, რის გამოც სამჯერ დაისაჯა დისციპლინარული წესით, მათ შორის ორჯერ გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

რევიზიების პროცესში № 31, № 34, № 86 სალაროებში (მოლარეები გასპაროვა, ჩიხუხჩიანი, შიქელაძე) აღმოაჩინდათ ზოგს ზედმეტი თანხა, ზოგს დანაკლისი. გარდა ამისა მოლარე შუბლაძეს მის მიერ დასახელებული 80 მანეთის ნაცვლად აღმოაჩნდა პირადი 220 მანეთი, ხოლო მოლარე გასპაროვას შენახული ჰქონდა გაუცემელი ავიაბილეთი თბილის-ლენინგრადის მარშრუტზე.

3 აგვისტოს სასტუმრო „საქართველოში" მდებარე საბილეთო სალაროს მუშაობის შემოწმება ჩაშალა ცენტრალური სააგენტოს სადისპეტჩეროსთან შიდა კავშირის დაზიანების გამო. დაზიანების მიზეზების გარკვევის შედეგად დაადგინეს, რომ დაახლოებით 12 საათზე კავშირი დაირღვა, მაგრამ სალაროს საფინანსო მდგომარეობის შემოწმების თავიდან ასაცილებლად მოლარე მელქაძემ საქალაქო ტელეფონით დაზიანების შესახებ აცნობა მხოლოდ ოთხი საათის შემდეგ. ამით მან გამოიჩინა უპასუხისმგებლობა და არაფრად ჩააგდო მოქალაქეთა ინტერესები. თავის გასამართლებლად მოლარემ განაცხადა, რომ აღნიშნული კავშირი ხშირად ირღვევა უკანასკნელ დროს, ცენტრალური სააგენტოს კავშირგაბმულობის ოპერატიულ-ტექნიკური ჟურნალის მიხედვით კი ბოლო ერთი თვის განმავლობაში სასტუმრო „საქართველოს" საბილეთო სალაროსთან კავშირის დარღვევის შესახებ ინფორმაცია არ შემოსულა.

შემოწმდა აგრეთვე თბილისის აეროპორტში სამეთვალყურეო ტექნიკისა და საკონტროლო-გამომძიებო რეჟიმის მდგომარეობა. აღმოჩნდა, რომ № 3 და № 4 გასასვლელში რენტგენული დანადგარები უხარისხოდ მუშაობს, რის შედეგადაც შემოწმება ხელით ტარდება, ეს კი მგზავრთა სამართლიან პრეტენზიებს იწვევს. № 3 გასასვლელთან არის ელექტრომონტიორების ოთახი, რაც კიდევ უფრო აუარესებს შემოწმების ხარისხს. სამეთვალყურეო ოთახები არ უპასუხებს სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროსა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს 1981 წლის მარტის ერთობლივი ბრძანების მოთხოვნებს. სამეთვალყურეო ოთახში არის სამსახურებრივი გასასვლელი, ბილეთების სარეალიზაციო სალარო. ამიტომ შემოწმების დღეს ბილეთის შეძენის მსურველმა დაუბრკოლებლად აუარა რა გვერდი სამეთვალყურეო სამსახურის კონტროლიორს, მოინდომა ბილეთის შეძენა სამეთვალყურეო ოთახის მხრიდან.

17 აგვისტოს მორიგე რეგისტრატორმა გაბაიდულინამ, სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენებით, არ ჰქონდა რა არავითარი დამოკიდებულება სამეთვალყურეო № 2 ოთახთან, გვერდი აუარა ლითონმძებნელსა და რენტგენულ დანადგარს და პერონზე გაიყვანა საფრანგეთში მიმავალი ხელბარგიანი მგზავრი მისი გამცილებლითურთ. № 2 გასასვლელის სამეთვალყურეო ჯგუფის დაუდევრობამ ხელი შეუწყო აგრეთვე სამეთვალყურეო წესების უხეშ დარღვევას.

ბორტგამცილებელთა სამსახურის მასალების მიხედვით პროკურატურამ გააანალიზა თვითმფრინავების სანიტარიული მდგომარეობა და მგზავრთა მომსახურების ხარისხი. 24 და 31 ივლისს თვითმფრინავმა № 85496 ტუ-154 შეასრულა რეისები თბილისი-ლაიპციგისა და თბილისი-ვენეციის მიმართულებით. აქტში ფიქსირებულია შემდეგი: სირჩები ჭუჭყიანია, მაცივარი არ მუშაობს, არ არის ნაგვის ყუთი, ტუალეტის ოთახებში ბევრი ბუზია, პირველ სალონში იატაკზე არ არის დამაგრებული ფარდაგი, ინდივიდუალური სარგებლობის მაგიდები არ მაგრდება ან სუსტად მაგრდება. № 85170 ტუ-154 თვითმფრინავში, რომელიც 21 ივნისს ასრულებდა რეისს თბილისი-ლენინგრადის მიმართულებით, აღმოჩნდა, რომ ტუალეტი გატენილია ნაგვით, სალონები დაულაგებელია, ბუფეტში იატაკზე ყრია საცობები და ხილის ნარჩენები, პირსახოცები და ა. შ.

აღინიშნება სხვა სახის დარღვევებიც. ასე მაგალითად, 1 ივნისს აეროპორტ თბილისში თბილის-ოდესის მიმართულებით მგზავრების ჩასხდომისას მორიგემ გამოაცხადა, რომ მგზავრები ცოტაა, და შეიძლება მათი დასმა თავისუფალ ადგილებზე. ჩასხდომის დამთავრების შემდეგ ორი მგზავრი მეტი აღმოჩნდა. საჭირო გახდა აღნიშნული სამსახურის ცვლის უფროსისა და მორიგე მილიციონერის ჩარევა, რათა „ზედმეტები" ჩამოესვათ. ამან რეისი დააყოვნა 35 წუთით. „ორეულები" გამოვლინდა № 6881 თბილისი-ლენინგრადის რეისზე, № 928 თბილისი-მოსკოვის რეისზე და სხვა რეისებზე.

გამოვლინდა სხვა დარღვევებიც. 25 აგვისტოს თბილისის აეროპორტში შემოწმების დროს 12-13 საათამდე 4-დან ერთი სალაროღა იღებდა ბარგისათვის დანამატს. ამის გამო წარმოიქმნა მგზავრთა დიდი შეჯგუფება სალაროსთან, რომელიც ერთდროულად აწარმოებდა დანამატის მიღებას და ბილეთების გაყიდვას. ამან მგზავრთა კანონიერი უკმაყოფილება და აღშფოთება გამოიწვია, იმის გამოც, რომ ამასობაში გამოცხადდა ბილეთების რეგისტრაციის დამთავრება ერთდროულად სამი მიმართულებით.

იშვიათი როდია ჩამოსული მგზავრებისათვის ბარგის გაცემის დაგვიანებაც. ხშირია, როცა საათნახევარიც კი ელოდებიან ბარგს...

„სსრ კავშირის საჰაერო გზებზე მგზავრთა მომსახურების სახელმძღვანელო" მოითხოვს ეროვნული რესპუბლიკების აეროპორტებში განცხადებების რუსულად და ეროვნული რესპუბლიკის ენაზე გაკეთებას. თბილისსა და სოხუმში კი განცხადებები იშვიათად კეთდება ქართულ ენაზე, ხოლო რეისის დროს მგზავრებს საერთოდ არ აწვდიან ინფორმაციას ქართულად და საქართველოს შესახებ.

ასეთია რესპუბლიკის სამოქალაქო საავიაციო მომსახურების ჩრდილოვანი მხარეები.

არცერთი ზემოთაღნიშნული დარღვევა, ნაკლი თუ ხარვეზი მცირე და უმნიშვნელო არ არის. საერთო ჯამში იგი ერთი ხახით წარმოგვიდგება, რაც არა მარტო გულს გვტკენს, არამედ გვაფიქრებს და გვაღონებს.

რამდენიმეჯერ ითქვა და დაიწერა ამ სატკივარზე, მაგრამ მდგომარეობა უცვლელია, თითქოს და რეიდები ეწყობა რეიდებისათვის, პრესა წერს, თვითმფრინავები კი... სერავენ ცას — ხშირად შეუვსებელი ადგილებით. მიწაზე, აეროპორტის სალონში კი დგანან გულნატკენი მგზავრები, რომლებიც თავს იტყუებენ იმით, რომ ოდესმე მაინც წესრიგი დამყარდება საავიაციო მომსახურების ესოდენ მნიშვნელოვან და მეტად საჭირო საქმეში.

ბაკურ ბახტურიძე.

კიდევ ერთი აღიარება

მოსკოვში, კინემატოგრაფისტთა ცენტრალურ სახლში გაიმართა 1987 წლის საუკეთესო საბჭოთა ფილმებისათვის პროფესიული პრიზების მინიჭების საზეიმო ცერემონია.

ლონისძიებაზე სახელგანთქმულმა „მონანიებამ", რომ იტყვიან, ყველა ჯილდო და პრემია მოიხვეჭა. მაინც? „მონანიების" შემქმნელებს გადაეცათ სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის მთავარი პროფესიული პრიზი 1987 წლის საუკეთესო მხატვრული ფილმისათვის. საუკეთესო სცენარის შემქმნელებად დასახელებული არიან „მონანიების" ავტორები — ნ. ჯანელიძე, თ. აბულაძე, რ. კვესელავა. საუკეთესო რეჟისურის პრიზი მიიღო სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა თ. აბულაძემ. საუკეთესო ოპერატორისა და მხატვრისა მ. აგრანოვიჩმა და ლ. მიქელაძემ; მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის პრიზი ერგო რესპუბლიკის სახალხო არტისტს ა. მახარაძეს.

კომპოზიტორთა შორის პრიზად აღინიშნა სსრ კავშირის სახალხო არტისტის გია ყანჩელის ნამუშევარი კინორეჟისორ გიორგი დანელიას ფილმში „კინ-ძა-ძა". პრიზი ერგო ამავე ფილმის ხმის ოპერატორ ე. პოპოვს.

ხაღამოზე კინორეჟისორმა თ. აბულაძემ განაცხადა, რომ „მონანიების" გადამღებმა ჯგუფმა გადაწყვიტა ეს პრემია სომხეთში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა ფონდში გადარიცხოს („კომ". კორ.).

სურათზე: საბჭოთა კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველი მდივანი ელემ კლიმოვი პრიზს გადასცემს თენგიზ აბულაძეს.

პრემიერის წინ

ვერდის ღვთაებრივი მუსიკა

დღეს საღამოს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში პრემიერაა. წარმოადგენენ ვერდის „ბალ-მასკარადს". ოპერის დამდგმელები არიან ჩვენი ეროვნული ხელოვნების სახელოვანი ოსტატები: დირიჟორი ჯანსუღ კახიძე, რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი, მხატვარი გიორგი ალექსი-მესხიშვილი.

პრემიერის წინ „კომუნისტის" კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა **ჯანსუღ კახიძეს:**

— ჩვენში იტალიური ოპერების დადგმის დიდი ტრადიციები არსებობს და ეს ტრადიციები საკმაოდ შორიდან მოდის. ამის შესანიშნავი მაგალითია თვით „ბალ-მასკარადი". თბილისში იგი პირველად დადგმულა 1862 წელს — ოპერის შექმნიდან... სამიოდე წლის შემდეგ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ოპერა ჩვენს სცენაზე დიდი ხანია აღარ გაცოცხლებულა. ამიტომ დღევანდელი პრემიერა თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტია. ჩვენს თეატრში კვლავ აჟღერდება ვერდის ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილება, რომელიც მომხიბვლელია არა მხოლოდ ღვთაებრივი მუსიკით, არამედ საინტერესო დრამატურგიული ფორმითაც.

ბედნიერი ვართ, რომ ოპერის დადგმაზე ჩვენთან ერთად თანამედროვე რეჟისურის ჭეშმარიტად დიდმა ოსტატმა მიხეილ თუმანიშვილმა იმუშავა.

პრემიერას ყოველთვის ახლავს სადღესასწაულო განწყობილება. ამჯერად კი ამ განწყობილებას კიდევ უფრო აძლიერებს ის ფაქტი, რომ საპრემიერო სპექტაკლში მთავარ პარტიას იმღერებს სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტი ზურაბ სოტკილავა, ცხადია, არანაკლებ სიხარულს განაცდევინებს მაყურებელს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ცისანა ტატიშვილის ახალ ნამუშევართან შეხვედრა.

იმის მიუხედავად, რომ ახალ სპექტაკლში ასეთი გამოცდილი ოსტატები მონაწილეობენ, იგი ჩვენთვის, უწინარეს ყოვლისა, მაინც ახალგაზრდების მონაწილეობით არის მნიშვნელოვანი, რადგან ჩვენი აზრით, თეატრის ახალგაზრდები ამ დადგმაში ახალი შესაძლებლობებით გამოჩნდნენ. ცოტა მოგვიანებით მაყურებელი, ალბათ, ყურადღებას მიაქცევს მთავარი პარტიის სრულიად ახალგაზრდა შემსრულებელს ნუგზარ გამგებელს, ვისთვისაც „ბალ-მასკარადში" გამოსვლა დებიუტი იქნება. ვფიქრობთ, რომ იგი მთელი თავისი ბუნებით მომღერალია. კონსერვატორიაში ნოდარ ანდღულაძის მოწაფე იყო, გაველილი აქვს შესანიშნავი სკოლა, და, ამასთანავე, როგორც მიხეილ თუმანიშვილი ამბობს, არტისტული მონაცემებითაც გამოირჩევა.

„ბალ-მასკარადის" დადგმა ჩვენი დასის დიდი სურვილი იყო. ვფიქრობთ, მას დიდი ინტერესით შეხვდება მაყურებელიც.

ჩვენ რაც შეგვეძლო, ყველაფერი ვიღონეთ, რომ ახალი სპექტაკლით მისთვის დიდი სიხარული მოგვეტანა.

სპორტის ამბები

სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატი ძიუდოში

ასე ფიქრობს იამასიტა

ერთ მოარულ ამბავს გაგახსენებთ, ლევან თედიაშვილს უცხოელი ჟურნალისტი რომ ჩაეძია: ოდესმე თუ დამარცხებულხართ. როგორ არა, — დაუდასტურა ლევანმა. მაშინ ეგ მითხარით, ისეთ მოჭიდავეს თუ იცნობთ, წაუგებლად რომ დატოვა სარბიელი, — არ მოეშვა ინტერვიუერი. ეგეთი მამაჩემი იყო, — ხაზგასმული სერიოზულობით უპასუხა ლევანმა. როგორ? — გაიკვირვა თურმე ჟურნალისტმა. მამაჩემს არასოდეს უჭიდავია და ამიტომაც არ წაუგია, კახურად მოუჭრა ლევანმა... სახელგანთქმულ იაპონელ ძიუდოისტს იასუხირო იამასიტასაც უსვამენ ასეთ კითხვებს. იამასიტა სხვაგვარად უპასუხებს: ვიდრე ოცი წლისა გავხდებოდი, ვაგებდი, მერე კი არც ერთხელ არ დავმარცხებულვარო.

ასეთი შედეგით ვერც ერთი ძიუდოისტი ვერ დაიტრაბახებს— რვა წლის მანძილზე იამასიტას ერთი შეხვედრაც არ წაუგია. ჭიდაობაშიც მჭავს თავისი რეკორდსმენები. იამასიტა (ოთხგზის მსოფლიო და ლოს-ანჟელესის ოლიმპიადის ჩემპიონი) ახლა ჩვენი სტუმარია — როგორც იაპონიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი, სტუდენტ ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატს ესწრება.

— ეს შეჯიბრება, ცხადია, ოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატს ვერ გაუტოლდება, მაგრამ სტუდენტთა ტურნირები საკმაოდ პოპულარულია მსოფლიოში, — ამბობს იამასიტა, — როგორც იაპონელს, ცხადია, მეამაყება, რომ ძიუდომ პლანეტის ხუთივე კონტინენტზე მოიკიდა ფეხი, თანაც, ხომ ხედავთ, ახლა ქალებიც ჭიდაობენ ძიუდოს.

— სწორედ ეს მინდოდა მეკითხა. პირადად თქვენ როგორ უყურებთ ძიუდოთი ქალების გატაცებას.

— ქალებისთვის არავის დაუძალებია, გინდათ თუ არა, ძიუდო იჭიდავეთო. სპორტში ემანსიპაცია კარგა ხანია დაიწყო, და გასაკვირი არაფერია იმაში, რომ ერთ დღეს კიმონო ქალებმაც მოიზომეს. სხვათა შორის, არც ის მიკვირს, ქალები მარათონს რომ დარბიან, ხიმძიმეებს ეწევიან. ეს ეტყობა, ბუნებრივი პროცესია და შეცდომა იქნებოდა, ხელოვნური დაბრკოლებებით შეგვეფერხებინა.

— უკვე ოთხ წონით კატეგორიაში გამოვიდნენ გამარჯვებულები. განსაკუთრებით ვის გამოყოფდით?

— მე უწინარესად, იაპონელ ძიუდოისტთა გამოსვლას ვაკვირდები. ჯერჯერობით ჩვენ ორი ჩემპიონი გვყავს — ხიდეხიკო იოშიდა (78 კგ) და ნაოიავა ოგავა (მძიმე წონა). მართალი გითხრათ, ოგავას გამარჯვებაში ეჭვი არ მეპარებოდა. ვიმედოვნებ, რომ ჩემპიონი კიდევ გვეყოლება. პირველ დღეს ოსტატურად იჭიდავა კობა კურტანიძემ. მე ადრეც მინახავს მისი გამოსვლა — ჭიდაობის ქართული სკოლის ტიპური წარმომადგენელია. თუ არ ვცდები, აქ ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო.

იამასიტა არ შემცდარა: კურტანიძეს ოთხი მეტოქის დასამარცხებლად სულ ათიოდე წუთი დასჭირდა. ჩვენ უკვე ვწერდით ქვემძიმე წონის მოჭიდავეთა წინასწარ შეხვედრებზე. ფინალში კურტანიძე პოლონელ იაცეკ ბუტლერს შეხვდა. აქაც იგივე სურათი გამეორდა: ქართველი ფალავანის უპირატესობა კვლავ აშკარა იყო — მეოთხე წუთზე მსაჯებმა ორთაბრძოლა შეწყვიტეს, კურტანიძის ეფექტური ილეთი იაპონით შეფასდა.

მუხლის მძიმე ტრავმის შემდეგ კარგა ხანი არ მიჭიდავია, ახლა რომ, თუ შეიძლება ითქვას, ტატამზე გასვლას და გამარჯვებას მოწყურებული ვიყავი. კარგი იქნებოდა ბრაზილიელი ოლიმპიური ჩემპიონი — აურელიო მიგელიც რომ ჩამოსულიყო.

მიგელი არ ჩამოვიდა. ბრაზილიელთა გუნდის მწვრთნელმა მა ოლიმპიურ ჩემპიონს დასვენების საშუალება მისცეს, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ მიგელისა და კურტანიძის გზები ახლო მომავალში შეიყრება. საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელობამ მაღალი შეფასება მისცა კურტანიძის გამოსვლას, და როგორც მთავარმა მწვრთნელმა გენადი კალეტკინმა განაცხადა, ჩვენი ფალავანი ქვემძიმე წონაში კვლავ ყველაზე საიმედო ძალად ითვლება.

საბჭოთა ძიუდოისტებმა — ვაჟებმა და ქალებმა — ორ დღეში 5 ოქროს და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. კურტანიძესთან ერთად ვაჟთა ტურნირში გაიმარჯვა კრასნოიარსკელმა ოლეგ მალცევმა (86 კგ), ბრინჯაოს მედალი მიიღო მახაჩკალელმა რაშიდ იბრაგიმოვმა (78 კგ). ქალთა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს მაიკოპელმა გალინა ნესტეროვამ (72 კგ), მინსკელმა ვერონიკა კოზლოვსკაიამ (+72 კგ) და ლიეპაელმა ირინე ბარაბულკინამ (61 კგ), 66 კგ წონაში უძლიერესი იყო ფრანგი კატრინ ფლერი.

გუშინ მედლებისთვის იბრძოდნენ 52, 56 (ქალები), 65 და 71 (ვაჟები) კგ წონითი კატეგორიის სპორტსმენები.

ელგუჯა ბერიშვილი.



სურათზე: ტატამზე არიან ქალები — ფრანგი ემანუელა პიკულე (მარჯვნივ) და კორეელი ჯან ინი.

ვარლამ ბენდიურის („კომუნისტი") ფოტო.

სატურნირო ორბიტა

ჭადრაკი. სწრაფ ჭადრაკში მსოფლიოს პირველი ჩემპიონის წოდება მოიპოვა ანატოლი კარპოვმა. მართალია, კარპოვისა და ვიქტორ გავრიკოვის ფინალური შეხვედრა ფრედ — 5:5 დამთავრდა, მაგრამ წინასწარ ტურნირში კარპოვს უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა და გამარჯვებაც მას მიეკუთვნა. ჩემპიონატში, რომელსაც მექსიკის ქალაქ მასატლანში უმასპინძლა, 48 ქვეყნის 61 მოჭადრაკე მონაწილეობდა, მათ შორის — მაია ჩიბურდანიძე და ნანა იოსელიანი.

მადრიდში დამთავრდა საბჭოთა დიდოსტატებისა და „დანარჩენი მსოფლიოს" ნაკრები გუნდების მატჩიც. ანგარიშით 32,5: 31,5 გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა. ჩვენს ნაკრებში, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი თავკაცობდა, თბილისელი დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილიც გამოდიოდა. გამარჯვებულებს ყველაზე მეტი — 5,5—5,5 ქულა შესძინეს კასპაროვმა და გურევიჩმა, 5 — ჩერნინმა, 4,5 — დოლმატოვმა, 4 — ბელიავსკიმ, 3 —. აზმაიფარაშვილმა. 2,5-2,5 — სოკოლოვმა და ფსახისმა. მეტოქეთა შორის საუკეთესო იყო ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია) 5 ქულა. მსოფლიო ნაკრებში გამოდიოდნენ აგრეთვე მიგელ ილესკასი (ესპანეთი), ლიუბომირ ლიუბოევიჩი (იუგოსლავია), ულფ ანდერსონი (შვეცია), ჯონათან სპილმენი (დიდი ბრიტანეთი), ლაიოშ პორტიში (უნგრეთი), იოჰან ჰიარტარსონი (ისლანდია) და ხესუს ნოგეირასი (კუბა).

მეტოქეთათვის გამოყოფილი საპრიზო ფონდი — 160 ათასი დოლარი — ორივე მხარის გადაწყვეტილებით სომხეთში მომხდარი მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების ფონდში გადაირიცხა.

წყალბურთი. საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ფინალურ მატჩში მოსკოვის „დინამოს" წყალბურთელებმა ანგარიშით 12:11 დაამარცხეს სამხედრო საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდი და საპატიო პრიზს დაეუფლნენ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 9 დეკემბრის ბრძანებულებით გაუქმებულია საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი.

ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებსაც ლიკვიდირებული კომიტეტისადმი პრეტენზია აქვთ, შეუძლიათ მიმართონ სალიკვიდაციო კომისიას 1989 წლის 31 იანვრამდე.

აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ იქნება მიღებული.

მისამართი: 380018, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი №8.

სალიკვიდაციო კომისია.

გაზეთ „კომუნისტის" შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 22 დეკემბერს.

რედაქტორის მოადგილე
მ. უგრეხელიძე.

ტელევიზია — სამშაბათი, 20 დეკემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 12.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სალხინოდ მომხმარდეს". 13.00 — „ნაშუადღევს". 13.45 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 14.15 — „ათლეტიზმი". 14.45 — ქართული ენის ტელეკურსი. 15.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ესკალატორი" (პირველი ჩვენება). 15.45 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.55 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 16.50 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „წინამძღვართან". 17.15 — „ჯადოსნური ეკრანი". 17.40 — „გიყვართ ქართული ესტრადა?" (განმეორებით). 18.50 — ნარკომანიას დაუნდობელი ბრძოლა. 19.05 — კინოჟურნალი. 19.15 — განცხადებები. 19.20 — 1988 წლის რეტროსპექტივა. გარდაქმნის ნახნავები — გარდაქმნა პერსპექტივის გარეშე (განმეორებით). 20.00 — მოამბე. 20.35 — გამომცემლობა ნაკადული 50 წლისაა. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი. 23.00 — სპორტული პროგრამა.

მეორე პროგრამა. 18.25 — მხატვრული ფილმი „ბოლოსიტყვაობა". 20.00 — მოამბე. 20.35 — მოსწავლეთათვის. გეოგრაფია. 21.05 — მოკლემეტრაჟიანი ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „გელა".

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 „120 წუთი". 9.35 — მხატვრული ტელეფილმი „დიდი თამაში". I და II სერია. 11.55; 16.30 და 15.15 — ახალი ამბები. 12.05 — მოგზაურთა კლუბი. 16.45 — დოკუმენტური ფილმები. 17.25 — „გამარჯობა, მუსიკავ!". 18.20 — სკოლა: გარდაქმნების ხანა. 18.50 — საბჭოთა კავშირი — ლათინური ამერიკა. ურთიერთგაგების გზები. 19.10 — ეკონომიკური ცოდნის საფუძვლები. ტელეჟურნალი „აგრო". 19.40 — დღეს მსოფლიოში. 19.55 — დოკუმენტური ფილმი „უარყოფის უარყოფა". 20.45 — მხატვრული ტელეფილმი „დიდი თამაში". II სერია. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — ჰოკეი. გაზეთ „იზვესტიის" პრიზზე. შვეციისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები. შესვენებისას — 0.10 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 11.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 9.35 და 10.35 — გეოგრაფია. VI კლასი. 10.05 და 12.05 — ფრანგული ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ესთეტიკური აღზრდა. 11.35 და 12.35 — ბიოლოგია. V კლასი. 12.55 — მხატვრული ფილმი „ორგროშიანი იმედი". 14.30 და 19.00 — ახალი ამბები. 14.35 — მხატვრული ტელეფილმი „შეხვედრა მწვერვალის მახლობლად". I სერია — „გზის დასაწყისი". 15.50 — უსაფრთხო მოძრაობისათვის. 15.55 — ჰოკეი. გაზეთ „იზვესტიის" პრიზზე. ჩეხოსლოვაკიისა და კანადის ნაკრები გუნდები. 18.30 — გესაუბრებით მხატვრებზე. ედგარ დეგა. 19.15 — მუსიკალური კიოსკი. 19.45 — რიტმული ტანვარჯიში. 20.15 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — ყირიმის ეკოლოგია. 21.50 — სიმღერა-88. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — მეგობრების ეკრანი. მხატვრული ტელეფილმი „გეორგ ბ-ს უკანასკნელი დღეები" (გდრ-კუბა). 0.05 — „დილის ფოსტა" (განმეორებით). 0.35 — ახალი ამბები.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 05651 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშტარიას 28

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14